ახალგაზრდების უფლებებზე ხელმისაწვდომობა

სამართლებრივი ინსტრუმენტები

რეკომენდაცია CM/Rec(2016)7
და განმარტებითი
მემორანდუმი

ევროპის საბჭო

ახალგაზრდების უფლებებზე ხელმისაწვდომობა

ევროპის საბჭოს მინისტრთა
კომიტეტის მიერ 2016 წლის
28 სექტემბერს მიღებული
რეკომენდაცია
CM/Rec(2016)7
და განმარტებითი
მემორანდუმი

ევროპის საბჭო

თარგმანი: ქეთევან ჯინორიძე
რედაქტირება: დავით მგელაძე,
ნიკა ბახსოლიანი

ნათარგმნია 2021 წელს სსიპ
ახალგაზრდობის სააგენტოს
ეგიდით, ადამიანის უფლებათა
ასოციაციის მხარდაჭერით.

რეკომენდაცია CM/Rec(2016)7

დანართი რეკომენდაციაზე CM/Rec(2016)7	9
განმარტებითი მემორანდუმი	15
I. პრეამბულა	15
II. რატომ რეკომენდაცია ახალგაზრდების უფლებების ხელმისაწვდომობის შესახებ?	17
III. ზოგადი მოსაზრებები	18
IV. შედგენის პროცესი	21
V. საკითხები, რომელთა მოგვარებასაც ეს რეკომენდაცია ცდილობს	23
VI. რას მოიცავს რეკომენდაცია?	25

© ახალგაზრდობის სააგენტო, 2021 წელი

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2021

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას 4, ☎: 5(99)33 52 02; 5(99) 17 22 30
E–mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-084-1

რეკომენდაცია CM/Rec(2016)7

წევრი ქვეყნებისადმი გაცემული მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია ახალგაზრდების უფლებების ხელმისაწვდომობის კვლევის შესახებ

(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2016 წლის 28 სექტემბერს მინისტრთა მოადგილეების 1266-ე შეხვედრაზე)

მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭოს წესდების მე-15.ბ მუხლის თანახმად,

ითვალისწინებს რა ევროპის საბჭოს მისიას, მიაღწიოს მეტ ერთიანობას მის წევრ ქვეყნებს შორის, დაიცვასს ის იდეალები და რეალიზდეს ის პრინციპების, რომლებიც მათი საერთო მემკვიდრეობაა და ხელს უწყობს მათ ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს;

ითვალისწინებს რა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციასა (ETS No.5) და შესწორებული ევროპის სოციალურ ქარტიას (ETS No 163);

ითვალისწინებს რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა უფლებების კონვენციასა და მის ოქმებს;

ითვალისწინებს და ეყრდნობა რა საპარლამენტო ასამბლეის 2015 წლის რეკომენდაციას (2013 წ. "ახალგაზრდების ხელმისაწვდომობა ფუნ-დამენტურ უფლებებზე") და საპარლამენტო ასამბლეის 1978 წლის რეკომენდაციას (2011 წ. "ახალგაზრდობის უფლებების ევროპული ჩარჩო-კონვენციისკენ"), აგრეთვე მინისტრთა კომიტეტის ამ რეკომენ-დაციებზე პასუხს;

ითვალისწინებს და ეყრდნობა რა მინისტრთა კომიტეტის CM/Res(2008)23 რეზოლუციას ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის პოლი-ტიკის შესახებ;

ითვალისწინებს და ეყრდნობა რა ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესის რეზოლუციას 386(2015) "ახალგაზრდების მონაწილეობისთვის ბარიერების მოხსნის შესახებ: ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლებისა და ახალგაზრდებისთვის ლინგვა ფრანკას მიღება" და ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესის რეკომენდაციას 128(2003) "განახლებული ევროპული ქარტია ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ ადგილობრივ და რეგიონალურ ცხოვრებაში";

ითვალისწინებს და ეყრდნობა რა მინისტრთა კომიტეტის მიერ წევრი ქვეყნების მიმართ გაცემულ შესაბამის რეკომენდაციებში მოცემული პრინციპების გამოყენებას, განსაკუთრებით რეკომენდაციას CM/Rec(2015)3 დაუცველი რაიონებიდან ახალგაზრდების სოციალურ უფლებებთან ხელმისაწვდომობის შესახებ, რეკომენდაციას CM/Rec(2013)2 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების საზოგადოებაში სრული ინკლუზიის უზრუნველყოფის შესახებ, რეკომენდაციას CM/Rec(2012)13 ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის შესახებ, რეკომენდაცია CM/Rec(2012)2 18 წლამდე ასაკის ბავშვებისა და ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ, რეკომენდაციას CM/Rec(2010)8 ახალგაზრდების ინფორმირების შესახებ, რეკომენდაციას CM/Rec(2010)7 ევროპის საბჭოს ქარტიის „განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა სწავლების" შესახებ, რეკომენდაციას CM/Rec(2009)9 აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების განათლებისა და სოციალური ინკლუზიის შესახებ, რეკომენდაციას CM/Rec(2007)17 გენდერული თანასწორობის სტანდარტებისა და მექანიზმების შესახებ და რეკომენდაციას Rec(2006)1 ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარებაში ეროვნული ახალგაზრდული საბჭოების როლის შესახებ;

დარწმუნებულია რა ახალგაზრდების მნიშვნელოვან შესაძლებლობებში და ევროპის მშენებლობაში მათ ფუნდამენტურ როლში, მაგრამ შეშფოთებული მათი სოციალური მდგომარეობის გაუარესებით დემოგრაფიულად დაბერებულ საზოგადოებაში, რომელიც განიცდის მუდმივ ეკონომიკურ და სოციალურ სიძნელეებს და დემოკრატიის დეფიციტს. ეს ყოველივე კი გამოწვეულია წევრი ქვეყნების მარცხით, უზრუნველჰყონ ახალგაზრდების სრული ჩართულობა დემოკრატიულ პროცესებში;

აღიარებს რა ახალგაზრდობის სფეროში ევროპის საბჭოს მიერ გაწეულ საქმიანობას ადამიანის უფლებათა, სოციალური ჩართულობის,

კულტურათშორისი დიალოგის, გენდერული თანასწორობისა და ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობის ხელშესაწყობად ახალგაზრდობის პოლიტიკაში;

ხაზს უსვამს რა ევროპის საბჭოში ახალგაზრდობის სექტორის თანამმართველობის პრინციპისა და პრაქტიკის მნიშვნელობას;

აცნობიერებს რა ევროპის საბჭოს ახალგაზრდობაზე პასუხისმეგელ მინისტრთა 2008 წელს კიევში ჩატარებული კონფერენციის "ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის პოლიტიკის მომავალი: დღის წესრიგი 2020" და 2012 წელს სანკტ–პეტერბურგში ჩატარებული კონფერენციის „ახალგაზრდების უფლებების ხელმისაწვდომობა: ინოვაციური ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარება") შედეგებსა და ასევე ახალგაზრდული ღონისძიებისას (რომელიც ჩატარდა ამ ორი კონფერენციის წინ) გაკეთებულ დასკვნებს;

კვლავ ხაზგასმით აღნიშნავს რა ახალგაზრდებისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების მიერ ჩატარებული საქმიანობის ფუნდამენტურ როლს ჩვენი საზოგადოების განვითარებაში და ხაზს უსვამს რა იმას, რომ ახალგაზრდების უფლებებზე ხელმისაწვდომობა მათი პიროვნული განვითარების და ავტონომიის ხელმისაწვდომობის წინაპირობაა;

აცნობიერებს რა 2014 წელს ევროპის საბჭოს და THESEUS-ის - ბავშვთა უფლებების პრეცენდენტული სამართლის მონაცემთა ბაზის (რომელიც მოიცავს სასამართლოს პრეცენდენტულ სამართალს ბავშვთა უფლებების შესახებ) მიერ გამოქვეყნებულ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპის სოციალური ქარტიის ინტერპრეტაციიდან დაყრდნობით შემუშავებულ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცენდენტული სამართლისა და სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და დასკვნების რევიუში იდენტიფიცირებულ ახალგაზრდების უფლებათა დარღვევებსა და უარყოფის შემთხვევებს;

ხაზგასმით აღნიშნავს რა იმას, რომ, როგორც ყველა თაობა, ახალგაზრდები სრულად უნდა სარგებლობდნენ ადამიანის უფლებებით და ეროვნული და საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ყველა სხვა უფლებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არასრულწლოვანთა დასაცავად ხდება დასაბუთებული სამართლებრივი გამონაკლისები,

I. რეკომენდაციას აძლევს წევრი ქვეყნების მთავრობებს გააუმჯობესონ ახალგაზრდების უფლებებზე ხელმისაწვდომობა შემდეგი გზით:

1. აღმოიფხვრას ის დისკრიმინაციული პრაქტიკები ახალგაზრდების მიმართ, რომელიც ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლს ან ნებისმიერი სხვა ფორმით არღვევს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცენდენტულ სამართალს[1], [1]. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მრავალმხრივ იდენტურობასა და დისკრიმინაციის ინტერსექციურ განზომილებას.

2. ახალგაზრდების უფლებების ირგვლივ მოიხსნას ნებისმიერი სამართლებრივი, ადმინისტრაციული და პრაქტიკული წინაღობა, რომ მათ ჰქონდეთ მშვიდობიანი შეკრების უფლება და შეეძლოთ თავისუფლად შექმნან, გაწევრიანდნენ და მიიღონ აქტიური მონაწილეობა პროფკავშირებსა და ასოციაციებში.

3. შეიქმნას ან დაინერგოს ახალგაზრდობის პოლიტიკა ყველა დონეზე, რათა ყველა ახალგაზრდას ჰქონდეს უკეთესი უფლებებზე ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს შემდეგ საკითხებზე:

- ხარისხიანი განათლების მიღების ბარიერები;
- მრავალი ახალგაზრდის წინაშე არსებული სირთულეები, რომელიც ახლავს სწავლის მიტოვებას და ისეთი სტაბილური და ღირსეული დასაქმების შესაძლებლობას, რომელსაც აქვს სამართლიანი და მათზე მორგებული პირობები და ხარისხიანი სტაჟირების შესაძლებლობა;
- უწყვეტი განათლებისა და ტრენინგის სათანადო მხარდაჭერის არარსებობა, მათ შორის უმუშევრობის პერიოდში;
- სოციალური და ჯანდაცვის სერვისების არასაკმარისი შესაძლებლობები ახალგაზრდების სპეციფიკური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად;
- არასტაბილური ცხოვრებისეული სიტუაციების უარყოფითი შედეგები ახალგაზრდების კეთილდღეობასა და უსაფრთხოებაზე;
- საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის არასაკმარისი შესაძლებლობები, განსაკუთრებით იმ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება უშუალოდ ახალგაზრდებს. სისტემური პოლიტიკის არარსებობა და მექანიზმებისა და სტრუქტურების ნაკლებობა, რომელიც წაახალისებდა და მოამზადებდა ახალგაზრდებს მონაწილეობისათვის;
- არასაკმარისი ან არარსებული ფინანსური და პოლიტი-

[1] იხილეთ განმარტებითი მემორანდუმის 23-ე პუნქტი.

კური მხარდაჭერა ახალგაზრდული ინიციატივებისა და თვითმართვადი და დამოუკიდებელი ახალგაზრდული ორგანიზაციებისათვის.

4. ახალგაზრდების უფლებებთან ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით საერთაშორისო, ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე კოორდინირებული მიდგომით ყველა რელევანტურ პოლიტიკის სფეროში გამჭოლად თანამშრომლობის გზით. ამ მიზნით, წევრმა ქვეყნებმა უნდა გადადგან შემდეგი ნაბიჯები:

- ჩაატარონ ცოდნაზე დაფუძნებული კრიტიკული და სიღრმისეული ანალიზი ყველა იმ გამოწვევისა, რომლებიც ხელს უშლიან ახალგაზრდების უფლებების ხელმისაწვდომობას, მათ შორის თაობათაშორისი სოლიდარობის გათვალისწინება ყველა გრძელვადიანი გავლენის მქონე პოლიტიკის მიმართ. ანალიზში უნდა იყვნენ ჩართულნი ექსპერტები, პოლიტიკის შემქმნელები, ახალგაზრდული მუშაკები, ახალგაზრდული ორგანიზაციები, პროფკავშირების და სამოქალაქო საზოგადოების სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეძლებისდაგვარად უნდა განისაზღვროს დისაგრეგაციული/ჩაშლილი მონაცემები, რათა იდენტიფიცირდეს გარიყული ან მარგინალიზებული ახალგაზრდების გამოცდილება. პროგრესი უნდა გადაიხედოს რეგულარული ინტერვალებით;
- საჭიროების შემთხვევაში, არსებული და დაგეგმილი კანონმდებლობის გადახედვა და საკანონმდებლო ზომების დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს უფლებების ხელმისაწვდომობას და უზრუნველყოფს სისტემურად ყველა სახის სამართლებრივი დაბრკოლებების აღმოფხვრას ახალგაზრდების უფლებებზე ხელმისაწვდომობისათვის;
- ახალგაზრდობის პოლიტიკის დაინტერესებულ მხარეებთან, ახალგაზრდული ორგანიზაციების და ეროვნული ახალგაზრდული საბჭოების წარმომადგენლებთან კონსულტაციის გზით განიხილოს ის დამატებითი ნაბიჯები, რომელიც გააუმჯობესებს ახალგაზრდების უფლებების ხელმისაწვდომობას;
- საჭიროების შემთხვევაში, შეიცვალოს იმ ინსტიტუტების სტრუქტურა და საქმიანობა, რომელიც ემსახურება ახალგაზრდებს, რათა უფრო ეფექტიანად მოხდეს ახალგაზრდების საჭიროებების სამართლიანი და თანასწორუფლებიანი გათვალისწინება, ასევე ამაღლდეს ამ ინსტიტუტებში მომსახურე პერსონალის კომპეტენციები და უნარები;

5. ახალგაზრდების უფლებების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სტრატეგიების შემუშავება, რომლებიც ასახავს ადამიანის უფლებების უნივერსალურობისა და განუყოფლობის პრინციპებს, დისკრიმინაციის აღმოფხვრის და თანაბარი შესაძლებლობების, გენდერული თანასწორობის, ანგარიშვალდებულების, დემოკრატიის, მონაწილეობისა და თაობათაშორისო სოლიდარობის პრინციპებს. ამ სტრატეგიებმა უნდა ცხადყოს, რომ ახალგაზრდულმა საქმიანობამ შეიძლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ახალგაზრდების უფლებების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობაში;

6. ამ რეკომენდაციის დანართში შემოთავაზებული ზომების გათვალისწინება, ახალგაზრდების უფლებების ხელმისაწვდომობის ხელშემწყობი პოლიტიკისა და პროგრამების ფორმულირებისა და განხორციელებისას. ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების წახალისება, რომ შეასრულონ იგივე;

7. უზრუნველყოს, რომ ეს რეკომენდაცია, მისი დანართის ჩათვლით, ითარგმნება და გავრცელდება კომპეტენტურ ორგანოებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის, ახალგაზრდების უფლებების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობისა და დაცვის საჭიროების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით.

II. თანხმდება, რომ შეისწავლოს ამ რეკომენდაციის შესახებ წევრი ქვეყნებიდ შედეგები მისი მიღებიდან ხუთი წლის შემდეგ.

დანართი რეკომენდაციაზე CM/Rec(2016)7

1. გამოყენების სფერო და მიზანი

რეკომენდაცია მიზნად ისახავს, არა რომელიმე კონკრეტული უფლების განხილვას, არამედ ახალგაზრდების უფლებებთან ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას. რეკომენდაციის მთავარი ფოკუსი არის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, სამართლებრივი, პოლიტიკური და სოციალური ბარიერების მოხსნისა და ცნობიერების ამაღლების გზით, რის შედეგადაც ახალგაზრდებს ექნებათ ცოდნა იმისა, თუ რა უფლებები აქვთ და რისი გაკეთება შეუძლიათ მათი დარღვევის შემთხვევაში. იგი ხაზს უსვამს წევრი ქვეყნების მიერ რეგულარული მონიტორინგის, უფლებების დარღვევაზე რეაგირებისა და სამართლებრივი დებულებების სათანადო დაცვის მნიშვნელობას.

რეკომენდაცია ეხება ყველა იმ ახალგაზრდას, რომლებსაც თავიანთი ასაკის გამო, ექმნებათ ბარიერები ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების სრულად გამოყენებასა და აქტიურ მონაწილეობაში. ასაკის დიაპაზონის განმარტება, რომელიც მოიცავს ტერმინებს «ახალგაზრდები» ან «ახალგაზრდობა», უნდა ასახავდეს თითოეულ წევრ ქვეყანაში არსებულ სამართლებრივ და კონსტიტუციურ ჩარჩოს.

2. პრინციპები

რეკომენდაცია ემყარება არსებულ პრინციპებს, რომლებიც მოცემულია პრეამბულაში მითითებულ ინსტრუმენტებში. ეს პრინციპები მოიცავს შემდეგს:

- დღეს ევროპაში, ახალგაზრდების უფლებებზე წვდომა ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის კულტურის შესაქმნელად საჭირო არსებითი ელემენტია;
- ახალგაზრდულ ორგანიზაციებსა და ახალგაზრდულ საქმიანობას გადამწყვეტი როლი აქვს ახალგაზრდების უფლებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ახალგაზრდების აქტიური მოქალაქეობის მხარდაჭერაში;
- უფლებებთან ხელმისაწვდომობისთვის აუცილებელია ახალგაზრდების, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და ახალგაზრდული მუშაკების ინფორმირება და განათლება იმ უფლებების შესახებ, რომელიც ახალგაზრდებს უნდა ჰქონდეთ,

გამოიყენონ და იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს, თუ ეს უფლებები დაირღვა;
- ახალგაზრდების აქტიური და ეფექტური მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და გადაწყვეტილების მიღებაში უნდა იყოს დაცული და წახალისებული ადრეული ასაკიდან;
- ახალგაზრდებმა სრულად უნდა ისარგებლონ თავიანთი უფლებებით და თავისუფლებებით, ყოველგვარი ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე. ამის მისაღწევად განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ნაკლები შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდებს, მათ შორის დისკრიმინაციით დაზარალებულებს.

3. ზომები

იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ ახალგაზრდების უფლებების ხელმისაწვდომობას, წევრი ქვეყნების მთავრობებმა უნდა განახორციელონ შემდეგი ინიციატივები.

3.1. განათლების ხელმისაწვდომობის მხრივ :
- ჩადონ ინვესტიცია ხარისხიან და ინკლუზიურ განათლებაში (ფორმალურშიც და არაფორმალურშიც);
- განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, არსებული ბარიერების მოხსნა და ისეთი მექანიზმების დანერგვა, რომელიც წაახალისებს და მხარს დაუჭერს განათლების პროცესის დასრულებას;
- განათლების ხელმისაწვდომობის არსებული ეკონომიკური, გეოგრაფიული და ფიზიკური დაბრკოლებების მოხსნა და სტუდენტების მხარდაჭერის ადეკვატური სერვისების დანერგვა;
- არაფორმალური სწავლებისა და ახალგაზრდული საქმიანობის აღიარების მხარდაჭერა (სტრასბურგის პროცესი), პროფესიული განათლებისა და სწავლების (VET), ასევე უმაღლესი განათლებისა და კვალიფიკაციების სტანდარტებთან და ხარისხთან თავსებადობის უზრუნველყოფა (ბოლონიის პროცესი და კოპენჰაგენის პროცესი).

3.2. ახალგაზრდების ავტონომიისა და სოციალური ინკლუზიის მხრივ:
- ახალგაზრდობის პოლიტიკის შექმნა და განვითარება ყველა დონეზე;
- საგანმანათლებლო სფეროდან დასაქმების ბაზარზე გადასვლის პროცესის შემსუბუქება და იმის უზრუნველყოფა, რომ სტაჟირებისა და სწავლის პერიოდები იყოს აღიარებული მნიშვნელოვან გამოცდილებად, რომელსაც აქვს ცხადი საგანმანათლებლო ღირებულება, ღირსეული ანაზღაურება და ადე-

კვატური რეგულირება;
- ცხოვრების ღირსეული დონის ხელშეწყობა იმ ბარიერების მოხსნის გზით, რომელიც მიუწვდომელს ხდის ხარისხიან სამუშაო ადგილებს
- ახალგაზრდებისთვის სოციალური კეთილდღეობის ბენეფიტების, საკრედიტო და საბინაო სქემების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სპეციალური და სიტუაციაზე მორგებული ზომების შემუშავება;
- ევროპის სოციალური ქარტიის დებულებების გაძლიერებულად შესრულება, ახალგაზრდების სოციალურ უფლებებზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობისთვის;
- განათლების, დასაქმების, საცხოვრებლისა და ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებით იმის უზრუნველყოფა, რომ პოლიტიკა ასახავს და ეხმიანება ახალგაზრდობის სპეციალურ საჭიროებებს სოფლად და დაუცველ უბნებში..

3.3. ახალგაზრდების მობილობის მხრივ:
- მობილობის თანასწორი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა ახალგაზრდისთვის, განსაკუთრებით კი მოხალისეებისათვის, მათი წარმომავლობის, სპეციალიზაციის თუ შესაძლო შეზღუდული შესაძლებლობის მიუხედავად - არსებული ევროპული სქემების უფრო ფართო გამოყენების, სავიზო პროცედურების გამარტივების და მობილობის პროგრამების ხელმისაწვდომობის გზით;
- პოლიტიკური ან სოციალურ-ეკონომიკური მიზეზების გამო ახალგაზრდების სხვა ქვეყანაში გადასვლისას წამოჭრილი გამოწვევების მოგვარება და იმის უზრუნველყოფა, რომ მათ მიერ უფლებებით სარგებლობას საფრთხე არ ემუქრება.

3.4. აქტიური მოქალაქეობის, დემოკრატიისა და მონაწილეობის მხრივ:
- იმ მხარდასაჭერი მექანიზმების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების და ახალგაზრდული ორგანიზაციების ღირებულ და აზრიან მონაწილეობას თანამშრომლობის პრინციპებზე დაფუძნებული ახალგაზრდობის პოლიტიკის შექმნაში, განსაკუთრებით ადგილობრივ და რეგიონულ დონეებზე, სადაც პოლიტიკის შემუშავება ყველაზე ახლოსაა ახალგაზრდებთან;
- ახალგაზრდების, დამოუკიდებელი დემოკრატიული ორგანიზაციებისა და ეროვნული ახალგაზრდული საბჭოების, როგორც მონაწილეობისა და ჩართულობის მთავარი არხების, მხარდაჭერა და აღიარება;
- ყველა ახალგაზრდის თავისუფლად შეკრების, ასოცირებისა და გამოხატვის შესაძლებლობის ხელშეწყობა, მათ შორის ელექტრონული მონაწილეობის, როგორც დამატებითი ინსტრუმენტის, გამოყენების გზით;

- იმის უზრუნველყოფა, რომ სკოლაში ყოფნის დროს ახალგაზრდები იღებენ ცოდნას მონაწილეობისა და დემოკრატიის შესახებ პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე;
- იმ ბარიერების მოხსნა, რომლებიც ზღუდავს ახალგაზრდების დემოკრატიულ მონაწილეობას, მაგალითად, ხმის მიცემის სისტემების გადახედვით და, საჭიროების შემთხვევაში, ხმის მიცემის ასაკის შემცირებით. იმის უზრუნველყოფა, რომ საარჩევნო უფლებებით სარგებლობს ყველა უფლებამოსილი ახალგაზრდა, იქნება ეს ხმის მიცემა თუ არჩევნებში მონაწილეობის მიღება.

3.5. მრავალფეროვან საზოგადოებებში ერთად ცხოვრების მხრივ:
- დისკრიმინაციის, შეუწყნარებლობისა და გარიყულობის გამოწვევებზე პასუხის გაცემა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ახალგაზრდული ორგანიზაციების გამოცდილებისა და ცოდნის გამოყენებით, მარგინალიზებული ახალგაზრდების მონაწილეობის გაძლიერებითა და ახალგაზრდებსა და ახალგაზრდულ ორგანიზაციებში კულტურათაშორისი კომპეტენციებისა და საერთაშორისო ურთიერთგაგების გაფართოების გზით;
- ახალგაზრდებისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების მხარდაჭერა მშვიდობიანი საზოგადოების მშენებლობაში, დაფუძნებული მრავალფეროვნებაზე, სოციალურ ერთიანობასა და ჩართულობაზე, პატივისცემაზე, ტოლერანტობასა და ურთიერთგაგებაზე;
- კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ რეგიონებში მშვიდობის მშენებლობისა და დიალოგის ხელშეწყობა, ხელმისაწვდომი პროგრამებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით, მათ შორის, მასმედიის გამოყენება მშვიდობიანი გარემოს აღსადგენად;
- სამთავრობო სტრუქტურებსა და ახალგაზრდულ ორგანიზაციებსშორის თანამშრომლობის ხელშეწყობა, რათა მოიხსნას ბიუროკრატიული და პოლიტიკური ბარიერები "ევროპის საბჭოს დემოკრატიული მოქალაქეობის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების ქარტიის" განხორციელების დროს;
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის და დისკრიმინაციის საწინააღმდეგო სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტების ეფექტური განხორციელების მხარდაჭერა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-12 ოქმის რატიფიცირების თვალსაწიერში მიღება;
- მიგრანტი ახალგაზრდების ინკლუზიის მეტი ხელშეწყობა

3.6. ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და დაცვის მხრივ:
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა უფლებების კონვენციის 42-ე მუხლის შესაბამისად, იმ გრძელვადიანი

სტრატეგიების მხარდაჭერა, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდების უფლებათა შესახებ ცნობიერების ამაღლებას;
- ფორმალური განათლების კურიკულუმსა და არაფორმალურ სწავლებაში დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ განათლების ინტეგრირება, მათ შორის ბავშვთა უფლებების სწავლება;
- ახალგაზრდული მუშაკებისა და ახალგაზრდებთან უშუალოდ მომუშავე პირების პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერება და უფლებებთან ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა ტრენინგითა და პრაქტიკის გაცვლით, ასევე, ადეკვატური რესურსების უზრუნველყოფის გზით;;
- საჯარო ინფორმაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით ფართო საზოგადოების, ახალგაზრდებისა და პროფესიონალების ცნობიერების გაზრდა ახალგაზრდების უფლებებზე ხელმისაწვდომობის შესახებ;
- ისეთი მექანიზმების უზრუნველყოფა, რისი საშუალებითაც მოხდება ახალგაზრდების ინფორმირება და კონსულტირება როგორც საკუთარი უფლებების შესახებ, ისე მათი უფლებების დარღვევის ან შეზღუდვის შემთხვევაში და კომპენსაციის მიღების შესაძლებლობების შესახებ. ასეთი მექანიზმები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ახალგაზრდების ყველა ჯგუფისთვის, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც ემუქრება დისკრიმინაცია ან წარმოადგენს სოციალურად გარიყულ და ნაკლები შესაძლებლობების მქონე ჯგუფს. გარდა ამისა, იურიდიული კონსულტაცია და წარმომადგენლობა უნდა მიეწოდოს ყველა ახალგაზრდას, ვისაც ამის საშუალება არ აქვს;
- თუ ის ჯერ არ არსებობს, ადამიანის უფლებათა შესაბამისი და დამოუკიდებელი ინსტიტუტის (პარიზის პრინციპების შესაბამისად) დაარსება, მაგალითად, სახალხო დამცველის აპარატი, რათა უზრუნველყოფილი იყოს ახალგაზრდების უფლებების ხელმისაწვდომობის პატივისცემა და დაცვა;
- ევროპის შესწორებული სოციალური ქარტიისა და დამატებითი პროტოკოლის რატიფიცირება, რომელიც ითვალისწინებს კოლექტიური საჩივრების სისტემას (ETS No. 158);
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის მესამე ფაკულტატური ოქმის საკომუნიკაციო პროცედურის რატიფიცირება, რომელიც საშუალებას აძლევს იმ ბავშვებს და მათ წარმომადგენლებს, რომლებიც აცხადებენ, რომ მათი უფლებები დაირღვა, წარადგინონ საჩივარი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტის წინაშე, მას შემდეგ რაც ამოწურავენ ყველა შიდა საშუალებას;
- პრეცენდენტული სამართლის ხელშეწყობა, რათა გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა უკეთ გააცნობიერონ ახალგაზრდების უფლებების დარღვევები და თუ რამდენად დაცული არიან ისინი არსებული იურიდიული საშუალებებით.

3.7. ჯანმრთელობის დაცვის სერვისების ხელმისაწვდომობის მხრივ:

- ჯანმრთელობის შესახებ ყოვლისმომცველი და ასაკის შესაბამისი განათლების უზრუნველყოფა (მათ შორის, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ განათლება), როგორც არაფორმალური განათლებისა და სასკოლო კურიკულუმების ნაწილი;
- სრულყოფილი და ასაკის შესაბამისი ინფორმაციის უზრუნველყოფა ახალგაზრდულებისთვის ჯანმრთელობის დაცვის სერვისებისა და მხარდაჭერის შესახებ;
- ყოვლისმომცველი და ასაკის შესაბამისი ინფორმაციის უზრუნველყოფა ცხოვრების ჯანსაღი წესის, მათ შორის ფიზიკური დატვირთვისა და ჯანსაღი კვების შესახებ;
- ჯანმრთელობის რისკებისა და მათი პრევენციის შესახებ ცნობიერების ამაღლების ისეთი კამპანიების ჩატარება, რომელიც მიმართულია ახალგაზრდებზე და მოიცავს ინფორმაციას მკურნალობის ხელმისაწვდომობისა და კონფიდენციალურობის გარანტიების შესახებ;
- ჯანდაცვის მუშაკების ტრენინგის წარმოება ახალგაზრდებთან მუშაობის თემაზე;
- ახალგაზრდების ემოციური განვითარების და კეთილდღეობის მხარდასაჭერად ჰოლისტიკური და პროფილაქტიკური მომსახურებების უზრუნველყოფა;
- უფასო, უსაფრთხო და პერსონალიზებული სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებით უზრუნველყოფა;
- უფასო ფსიქოლოგიური კონსულტაციების უზრუნველყოფა, იმ ახალგაზრდებისთვის, რომელთაც ეს სჭირდებათ და როცა სჭირდებათ, განსაკუთრებით ძალადობისა და ექსპლუატაციის მსხვერპლთათვის;
- ფსიქიატრიული მომსახურების მარტივი და დროული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მათთვის, ვინც კვების დარღვევებისა და დამოკიდებულებების დაძლევის პრობლემებს ეჭიდება;
- ზემოაღნიშნულ ჯანდაცვის მომსახურებებზე ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით იმ ახალგაზრდებისათვის, რომლებიც დაუცველ, დაზარალებულ და უმცირესობათა ჯგუფებს წარმოადგენენ;

განმარტებითი მემორანდუმი

I. პრეამბულა

1. ევროპის საბჭოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ევროპის შენებაში, რომელიც დაფუძნებულია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პატივისცემაზე. ევროპის საბჭოს მთავარი მიღწევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციაა (ETS No. 5), რომელიც ჩვენი საზოგადოების ფუძემდებლური ღირებულებების დაცვის მთავარი ინსტრუმენტია. ევროპის სოციალური ქარტია უზრუნველყოფს ადამიანის სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპის სოციალური ქარტიის პრეცენდენტული სამართალი კვლავ ხაზს უსვამს დომენებს, რომლებშიც წევრმა ქვეყნებმა ვერ უზრუნველყვეს ახალგაზრდების უფლებების ხელმისაწვდომობა. იმისათვის, რომ ევროპის საბჭო ყველა ამ ღირებულების დამცველი დარჩეს, მან უნდა განავითაროს და დანერგოს თავისი სტანდარტები და ინსტრუმენტები, რომლებიც ხელს შეუწყობს და დაიცავს ევროპაში ადამიანის უფლებებს.

2. ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის სექტორი ერთ-ერთი პოლიტიკური საყრდენია, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის უფლებათა დარღვევის პრევენციას და დემოკრატიული, ინკლუზიური საზოგადოებებისა და კანონის უზენაესობის პოპულარიზაციას. ახალგაზრდობის სექტორის ფუნდამენტური მახასიათებელია მისი თანამმართველობის სისტემა, რომელიც, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და მთავრობების მიერ გადაწყვეტილების მიღების ერთობლივი პროცესის საშუალებით, უზ-რუნველყოფს იმას, რომ პროგრამები დაფუძნებულია ახალგაზრდა ევროპელებისა და ეროვნულ დონეზე გადაწყვეტილებების მიმღებთა რეალობებზე.

3. ამ განმარტებით მემორანდუმში მოცემულია რამდენიმე ძირითადი ინფორმაცია მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის CM/Rec (2016) 7 ახალგაზრდების უფლებებთან ხელმისაწვდომობის შესახებ. მასში მოცემულია, თუ რატომ არის საჭირო რეკომენდაცია და რა პრობლემების მოგვარებას ისახავს მიზნად, მათ შორისაა დეტალური ინფორმაცია იმ სირთულებიის შესახებ, რომელსაც ახალგაზრდები აწყდებიან თავიანთი უფლებებით სარგებლობისას. იგი ასახავს რეკომენდაციის შემუშავების პროცესს, რომელიც მოიცავს ინკლუზიურ მიდგომას. მემორანდუმში აღწერილია მასში შემავალი ყველა კომპონენტის დასაბუთება და მას თან ახლავს ის რჩევები, რომელიც დაეხმარება წევრ ქვეყნებსრეკომენდაციების შესრულებაში..

II. რატომ რეკომენდაცია ახალგაზრდების უფლებებთან ხელმისაწვდომობის შესახებ?

4. ახალგაზრდებს აქვთ სრული უფლება ისარგებლონ ადამიანის უფლებებით და ეროვნული და საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ყველა სხვა უფლებით. ამასთან, ევროპის მასშტაბით ახალგაზრდები სულ უფრო ხშირად განიცდიან ამ უფლებებზე ხელმისაწვდომობის გამოწვევებს, განსაკუთრებით იმიტომ, რომ მათზე გავლენას ახდენს ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური პრობლემები და ევროპული საზოგადოების სხვა მრავალი სირთულე.
5. ახალგაზრდების უფლებებზე ხელმისაწვდომობა ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პრინციპებზე დაფუძნებული კულტურის ჩამოყალიბების არსებითი ელემენტია, და არსებობს საშიშროება, რომ ზოგიერთმა წევრმა ქვეყანამ შეიძლება არ დაიცვას ეს უფლებები ყველა ახალგაზრდისთვის.
6. დემოგრაფიულმა ცვლილებებმა და ამჟამინდელმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ ახალგაზრდა ევროპელები მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. ისინი სულ უფრო ხშირად ხვდებიან გამოწვევებს საკუთარი უფლებების სრულად გამოყენების და ავტონომიურ ცხოვრების ეტაპზე შეუფერხებლად გადასვლის დროს. უმუშევრობა, არასაიმედოობა, დისკრიმინაცია და სოციალური გარიყულობა მრავალი ევროპელი ახალგაზრდის რეალობაა. მაღალი კვალიფიკაციის მქონეთათვისაც კი რთულია განათლებიდან შრომის ბაზარზე გადასვლა. ახალგაზრდები საზოგადოების ყველაზე დაუცველ ჯგუფს მიეკუთვნებიან და სავალალო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ევროპის საბჭოს ბევრ წევრ ქვეყანაში უზარმაზარ ბარიერს წარმოადგენს მათი ავტონომიის, პიროვნული განვითარების და საზოგადოებაში სრული მონაწილეობისთვის.
7. ახალგაზრდების გამიჯვნის რისკი საკმაოდ დიდია. საზოგადოების მდგრადობა ემყარება ახალგაზრდების შემოქმედებას, დინამიკას, სოციალურ ვალდებულებასა და კომპეტენციებს, აგრეთვე მათ მომავლის რწმენას. მთავრობის პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს ახალგაზრდებს, როგორც საზოგადოების ავტონომიურ წევრებს, თავიანთი პოტენციალის რეალიზებაში, რაც მათ საშუალებას მისცემს შეიმუშაონ სამომავლო გეგმები და გამოიყენონ დემოკრატიული მოქალაქეობის უფლება. განათლებას და სწავლას, როგორც ფორმალურს ისე არაფორმალურს, გადამწყვეტი როლი აქვს ახალგაზრდების საჭირო ცოდნით, უნარ-ჩვევებით და ქცევებით აღჭურვაში. ყველა პოლიტიკური სფეროსათვის, რომელიც გავლენას ახდენს ახალგაზრდების ცხოვრებაზე, აუცილებელია იმის უზრუნველყოფა, რომ ახალგაზრდებმა იცოდნენ თავიანთი უფლებებისა და იმ ნაბიჯების შესახებ, რომლის გადადგმაც შეუძლიათ უფლებებზე წვდომის შეფერხებისას.
8. ევროპის საბჭომ შეიმუშავა მრავალი ხერხი და ჩაატარა სხვადასხვა სოციალური კამპანია, რათა ხელი შეეწყო წევრი ქვეყნებისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის საკუ-

თარი უფლებების და მათზე ხელმისაწვდომობის შესახებ, მაგალითად, "სიძულვილის ენის წინააღმდეგ მოძრაობის" კამპანია; პროექტი "ENTER!" სოციალურად დაუცველი რაიონებში მცხოვრები ახალგაზრდების სოციალურ უფლებებზე ხელმისაწვდომობის შესახებ.

9. ახალგაზრდები ხშირად მიიჩნევიან მომავლის ინვესტიციად, მაგრამ სინამდვილეში მათი განვითარება და კეთილდღეობა ასევე აუცილებელია აწმყოსთვის. იმისათვის, რომ ახალგაზრდებმა გაიგონ თავიანთი უფლებები, მიიღონ თანმხლები პასუხისმგებლობები და მიეცეთ გამოხატვის შესაძლებლობები, მათი საზოგადოებრივ ცხოვრებასა და გადაწყვეტილების მიღებაში აქტიური და ეფექტური მონაწილეობა ადრეული ასაკიდან უნდა წახალისდეს. მათ აუცილებლად უნდა უსმენდნენ და აძლევდნენ რესურსს, მონაწილეობა მიიღონ ისეთი გადაწყვეტილებების მიღებაში, რომელიც მათივე ცხოვრებაზე აისახება. ახალგაზრდების დახმარება, გახდნენ აქტიური მოქალაქეები, არის ახალგაზრდობის პოლიტიკისა და ახალგაზრდული საქმიანობის ძირითადი ელემენტი. თავად ახალგაზრდებს და ახალგაზრდულ ორგანიზაციებს აქვთ მნიშვნელოვანი როლი ამ მიზნების მიღწევაში და შესაბამისად, სახელმწიფო ორგანოები ყველა დონეზე მხარდაჭერას უნდა უცხადებდეს მათ.

III. ზოგადი მოსაზრებები

10. ეს რეკომენდაცია მოიცავს უფლებებზე ხელმისაწვდომობას და არ კონცერტირდება რომელიმე კონკრეტულ უფლებაზე. უფლებებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება გულისხმობს, რომ ახალგაზრდებმა, ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა და ახალგაზრდულმა მუშაკებმა იცოდნენ იმ მექანიზმების შესახებ, რომელთა გამოყენებაც შეუძლიათ თუკი მათი უფლებები დაირღვევა. ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ასევე მოითხოვს სამართლებრივი, პოლიტიკური და სოციალური ბარიერების მოხსნას, უფლებების დარღვევის რეგულარულ მონიტორინგს მარგინალიზებული ჯგუფების გამოცდილების გათვალისწინებით და ისეთი ნაბიჯების გადადგმას, რომელიც ყველა ახალგაზრდის უფლების დაცვას გააუმჯობესებს კანონმდებლობის, კონსტიტუციებისა და სხვა სამართლებრივი დებულებების მეშვეობით.
11. როგორც ეს ხაზგასმულია ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ მინისტრთა მე-8 კონფერენციის (კიევი, 2008 წ.) - „ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის პოლიტიკის მომავალი: დღის წესრიგი 2020" - შედეგებსა და ახალგაზრდული ღონისძიების დასკვნებში, ახალგაზრდების მიერ ადამიანის უფლებებისა და ადამიანის ღირსებით სრულად სარგებლობის უზრუნველყოფა და ამ მიმართულებით მათი ჩართულობის წახალისება ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია.
12. უკვე ბევრი გამოცდილება არსებობს, რომლის გამოყენებაც შეიძლება. ამ რეკომენდაციის დამატებითი ღირებულება არის ახალგაზრდებზე მორგებული მექანიზმის საჭიროების წინა პლანზე წამოწევა, რომელიც გააერთიანებს უკვე არსებულ საშუალებებსა და ინს-

ტრუმენტებს და ხელს შეუწყობს წევრი ქვეყნების მიერ მათ ეფექტურ იმპლემენტაციას, რაშიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის სექტორის მნიშვნელოვანი გამოცდილება. ამჟამად, ევროპის საბჭოში, ახალგაზრდების უფლებებთან დაკავშირებული რამდენიმე სამართლებრივი ინსტრუმენტია ხელმისაწვდომი, მაგრამ ისინი სხვადასხვა თემებშია მიმოფანტული. ასევე არსებობს მნიშვნელოვანი ხარვეზები, რომელიც წარმოიშვა ბოლოდროინდელი მოვლენების შედეგად (მაგალითად, სტაჟირების გადამეტებული გამოყენება განათლებიდან სამუშაო ბაზარზე გარდამავალ პროცესში), რომელთა მოგვარებასაც ეს რეკომენდაცია მიზნად ისახავს. დამატებით ღირებულებად შეიძლება ასევე ჩაითვალოს იმ საშუალებების გამოკვლევა, რომელიც ემსახურება ყველაზე რთული ბარიერების მოხსნას და იმ ახალგაზრდობის პოლიტიკისა და ახალგაზრდული საქმიანობის მახასიათებლებისმაქსიმიზაციით, რომელსაც შეუძლია ახალგაზრდების უფლებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. რეკომენდაციის სამუშაო ვარიანტი ეყრდნობა 2012 წელს ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელი მინისტრების კონფერენციასა (სანკტ-პეტერნბურგი) და ახალგაზრდულ ღონისძიებაზე შემუშავებულ დეკლარაციას, ასევე 2014 წლის მაისში ახალგაზრდობის საკითხთა გაერთიანებული საბჭოს მანდატით მოწვეულ გაფართოებული ჯგუფის ნაშრომს.

13. ამ რეკომენდაციის მიზნები ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის სექტორის რამდენიმე მთავარ პრიორიტეტს ეფუძნება და წევრ ქვეყნებს მოუწოდებს შეიმუშაონ და გამოიყენონ ახალგაზრდობის პოლიტიკა, რომ ხელი შეეწყოს ახალგაზრდების უფლებებზე ხელმისაწვდომობას. ევროპის საბჭო აცნობიერებს, რომ ახალგაზრდებისთვის უფლებებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად უფრო მეტის გაკეთებაა საჭირო, განსაკუთრებით, გარდამავალი (ტრანზიციული) პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი იღებენ ახალ პასუხისმგებლობებს და მოვალეობებს, თუმცა ისევ განიცდიან დისკრიმინაციას ახალგაზრდობის ნიშნით, მაგალითად, შრომის ბაზარზე. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და ევროპის სოციალური ქარტია ვრცელდება ყველა ინდივიდზე, ახალგაზრდების ჩათვლით, ახლა შესაფერისი დროა, ევროპის საბჭომ მიიღოს სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელიც ახალგაზრდების უფლებების ხელმისაწვდომობას გააუმჯობესებს. აქცენტი უნდა გაკეთდეს ახალგაზრდობის პოლიტიკის და ახალგაზრდული საქმიანობის როლზე გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობის ხელშეწყობაში.

14. მნიშვნელოვანია, რომ ეს რეკომენდაცია წევრ ქვეყნებს მოუწოდებს ახალგაზრდების უფლებების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად მიმართონ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას. ეს უბიძგებს ხალხს შეიცნონ და მოითხოვონ თავიანთი უფლებები (უფლებებით აღჭურვას უწყობს ხელს) და ზრდის ინდივიდებისა და ინსტიტუციების შესაძლებლობას, აიღონ პასუხისმგებლობა უფლებების პატივისცემაზე, დაცვასა და შესრულებაზე. ეს ხაზს უსვამს ადამიანის უფლებების უნივერსალურობასა და განუყოფლობას:

ადამიანის უფლებები არის ყველგან და ყველასთვის, ყველა უფლება - სამოქალაქო, კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სოციალური - თანაბრად მნიშვნელოვანია და ერთი უფლების უარყოფა ხელს უშლის სხვა უფლებებით სარგებლობას. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის სხვა ძირითადი პრინციპებია თანასწორობა და დისკრიმინაციის აღმოფხვრა:
- ყველა ადამიანი თანასწორია და არავინ უნდა განიცდიდეს დისკრიმინაციას რასის, კანის ფერის, ეთნიკური წარმომავლობის, სქესის, ასაკის, ენის, სექსუალური ორიენტაციის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მოსაზრებების, ეროვნული, სოციალური ან გეოგრაფიული წარმოშობის, შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე ან ადამიანის უფლებების სტანდარტებით დადგენილი ნებისმიერი სხვა სტატუსის გამო. და ბოლოს, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ხელს უწყობს ყველა ადამიანის მონაწილეობას და ინკლუზიას, და ამასთან იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცესის შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას, რომელიც გავლენას ახდენს მათ ცხოვრებაზე.
15. ეს ნიშნავს, რომ ახალგაზრდებს უნდა მიეცეთ მეტი შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ იმ გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც გავლენას ახდენს მათ უფლებებზე. ეს ასევე ნიშნავს ახალგაზრდების უფლებების რეალიზებაზე პასუხისმგებელთა შესაძლებლობის გაზრდას, რომ მათ აღიარონ და პატივი სცენ ამ უფლებებს და უზრუნველყონ მათი დაცვა და იყვნენ ანგარიშვალდებულნი. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა გულისხმობს, რომ ადამიანის უფლებათა სტანდარტები და პრინციპები ინტეგრირებულია, როგორც პოლიტიკის შემუშავებაში, ასევე ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების ყოველდღიურ საქმიანობაში. ეს არის რეკომენდაციის ფუნდამენტური და შეუცვლელი ასპექტი.

IV. შედგენის პროცესი

16. 2013 წლის 15 იანვარს მინისტრთა კომიტეტმა დაარწმუნა საპარლამენტოასამბლეა, რომ ხელს შეუწყობს ახალგაზრდების უფლებებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, ამ უფლებებისდარღვევების თავიდან აცილებას, შესაბამისი კონტროლის ზომების მიღებას და ინოვაციური გზების გამოყენებით ახალგაზრდებისთვის უფლებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას.

საპარლამენტო ასამბლეისთვის გაცემულ პასუხში მინისტრთა კომიტეტმა აღნიშნა:

> "კონსულტირებულმა ორგანოებმა: ადამიანის უფლებათა მმართველი კომიტეტი (CDDH), გენდერული თანასწორობის კომისია (GEC), ახალგაზრდობის ევროპული საორგანიზაციო კომიტეტი (CDEJ), ახალგაზრდობის საკითხთა მრჩეველთა საბჭო (CCJ), ახალგაზრდობის საკითხთა გაერთიანებული

საბჭო (CMJ), ევროპის სოციალური ქარტიის სამთავრობო კომიტეტი, გლობალური ურთიერთდამოკიდებულების და სოლიდარობის ევროპული ცენტრი (ჩრდილოეთ-სამხრეთის ცენტრი), სოციალური ინტეგრაციის ევროპული კომიტეტი (CDCS) და საგანმანათლებლო პოლიტიკისა და პრაქტიკის საორგანიზაციო კომიტეტი (CDPPE) გამოავლინეს ინტერესი და მონაწილეობის მიღების მზაობა ახალგაზრდების უფლებებზე ხელმისაწვდომობის შესახებ ახალი შესაძლო რეკომენდაციის შექმნაში..
მინისტრთა კომიტეტი ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის სექტორის ორგანოებს, სხვა ორგანოებთან კონსულტაციის საფუძველზე, მოახდინონ სხვადასხვა წინადადებების წარდგენა 2014-2015 წლებისთვის გათვალისწინებული პირობებისა და ბიუჯეტის ფარგლებში[1].”

17. სეკრეტარიატის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ახალგაზრდობის საკითხთა გაერთიანებული საბჭო შეთანხმდა მოემზადებინა წევრი ქვეყნების ახალგაზრდების უფლებებზე ხელმისაწვდომობის შესახებ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის პროექტი. ახალგაზრდობის ევროპული საორგანიზაციო კომიტეტი (CDEJ) და ახალგაზრდობის საკითხთა მრჩეველთა საბჭოს (CCJ) წევრებთან დისკუსიების შემდეგ, რომელიც ეხებოდა რეკომენდაციის პროექტის, მიზანს, შინაარსს, მეთოდოლოგიას და დამატებით ღირებულებას, 2014 წელს, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ის შედგებოდა ახალგაზრდობის ევროპული საორგანიზაციო კომიტეტის (CDEJ) ორი წევრის, ახალგაზრდობის საკითხთა მრჩეველთა საბჭოს (CCJ) ორი წევრის, ევროპის ახალგაზრდული ფორუმის წარმომადგენლის, ადამიანის უფლებათა მმართველი კომიტეტის (CDDH) ორი წარმომადგენლის და ევროპის ახალგაზრდული ინფორმაციისა და საკონსულტაციო სააგენტოს (ERYICA) წარმომადგენლისგან.

18. რეკომენდაციის მომზადებისას, სამუშაო ჯგუფი (შემდგენი ჯგუფი) რეგულარულად მოახსენებდა CMJ-ს პროგრესის შესახებ და მათ მთავრობის წარმომადგენლებისგან რამდენჯერმე მიიღეს სასარგებლო რჩევა. ევროპის საბჭოს სეკრეტარიატის დახმარებით, ჯგუფმა ფართო კონსულტაციები გაიარა ევროპის საბჭოს რიგ ადმინისტრაციულ ერთეულებთან რეკომენდაციის სასურველი შინაარსის შესახებ. ეს ერთეულები არიან: ადამიანის უფლებათა მმართველი კომიტეტი (ადამიანის უფლებათა მთავრობათაშორისი თანამშრომლობა); ადამიანის უფლებათა სამართლისა და პოლიტიკის განყოფილება; ბავშვთა უფლებების განყოფილება; სოციალური ინტეგრაციის, ადამიანის ღირსებისა და თანასწორობის ევროპული კომიტეტი (CDDECS); საპარლამენტო ასამბლეა და ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფალთა კონგრესი. ამ საკონსულტაციო პროცესის საშუალებით,

[1] მინისტრთა კომიტეტის პასუხი საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაცია 2015-ზე (2013) ახალგაზრდების ფუნდამენტურ უფლებებთან ხელმისაწვდომობის შესახებ.

რეკომენდაციაში არაერთი ღირებული წინადადებისა თუ შესწორების შეტანა მოხერხდა და სამუშაო ჯგუფმა შეძლო, რომ დისკუსიები ამ გამოჩენილი ორგანოების პრიორიტეტებზე ყოფილიყო დაფუძნებული. ერთ-ერთი ასეთი პრიორიტეტი, რომელიც სამუშაო ჯგუფმა გაითვალისწინა, არის გენდერული თანასწორობა - იმის რწმენით, რომ ეს არის ადამიანის უფლებების ერთიანი, განუყოფელი და განუცალკევებელი ნაწილი და სოციალური სამართლიანობის მიღწევის წინაპირობა, რომელიც ახალგაზრდების უფლებების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებასთან პირდაპირ არის დაკავშირებული. შემდგენი ჯგუფი შეთანხმდა, რომ ახალგაზრდების უფლებებზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ახალგაზრდებისთვის ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ხდება ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის შესახებ, და იმუშავა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეს პრინციპი საბოლოო რეკომენდაციაში ასახულიყო.

19. სამუშაო ჯგუფმა ტექნიკური დავალება მიიღო და იმუშავა რეკომენდაციის მომზადებაზე 2014 და 2015 წლებში მუშაობის პროცესში გათვალისწინებული იქნა მოქმედი და არსებული ინსტრუმენტები, ინფორმაცია ახალგაზრდების გამოცდილებების შესახებ (მათ შორის, თავად ახალგაზრდების ჩვენებებზე დაყრდნობით) და წევრი ქვეყნების უნარები და შესაძლებლობები, შეასრულონ აღებული პასუხისმგებლობა ახალგაზრდების უფლებებზე ხელმისაწვდომობის პატივისცემის, პოპულარიზაციისა და დაცვისათვის.

20. სამუშაო ჯგუფი შიდა განხილვების ადრეულ ეტაპზევე შეთანხმდა რეკომენდაციის პროექტის ფოკუსი ყოფილიყო ინოვაციურ ახალგაზრდობის პოლიტიკასა და იმ უნიკალურ წვლილზე, რომელიც ახალგაზრდულ საქმიანობას შეაქვს ახალგაზრდებს უფლებების ხელმისაწვდომობის განვითარებისთვის. შესაბამისად, რეკომენდაცია ხაზს უსვამს ახალგაზრდული ორგანიზაციების და წევრ ქვეყნებსა და ახალგაზრდულ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის როლს, რომელსაც ისინი თამაშობენ ახალგაზრდების გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის განსავითარებლად პროცესში.. რეკომენდაციის შედგენის მთლიანი პროცესის განმავლობაში, სამუშაო ჯგუფი ერთხმად იზიარებდა იმ იდეას, რომ პროექტის ფოკუსი არა რომელიმე კონკრეტულ უფლებაზე, არამედ უფლებების ხელმისაწვდომობის საკითხზეა.

V. საკითხები, რომელთა მოგვარებასაც ეს რეკომენდაცია ცდილობს

21. როგორც უკვე აღინიშნა, მრავალ წევრ ქვეყანაში[2] არსებული ეკონომიკური და სოციალური სირთულეები ახალგაზრდებზე დღემდე აისახება უარყოფითად და არაპროპორციულადი[3]. ამის შედეგად, ახალგაზრდებისთვის დამოუკიდებელ ცხოვრებაში ტრანზიციის პროცესი სულ უფრო არასაიმედო ხდება. ახალგაზრდობის პოლიტიკა

[2] ევროპის ახალგაზრდული ფორუმი (2014), ახალგაზრდობა კრიზისში: რამ ვერ იმუშავა? www.youthforum.org.

[3] ევროპის ახალგაზრდული ფორუმი (2012), პოლიტიკის დოკუმენტი ახალგაზრდობის უფლებებზე www.youthforum.org.

განსაკუთრებით მგრძნობიარეა პოსტ-ეკონომიკური კრიზისის ფონზე რაგან ხარჯვის შემცირებაზე ორიენტირებული სახელმწიფო პროგრამების მიმართ, ახალგაზრდობის პოლიტიკა რესურსების განაწილებისა და სახელმწიფო ინტერვენციის პრიორიტეტების სიაში ქვემოთ ინაცვლებს. ეს რეკომენდაცია პასუხობს ამ ცვალებადი გარემოებების გავლენას და ახალგაზრდების უფლებებზე თავისუფალი ხელმისაწვდომობისთვის შექმნილ საფრთხეებს. იგი ხაზს უსვამს უფლებების დაცვის მნიშვნელობას ყველა ახალგაზრდისთვის, განსაკუთრებით კი მათთვის, ვისაც ხმის მიწოდების ნაკლები შესაძლებლობა აქვს და შეგვახსენებს, რომ მდგრადი საზოგადოების შენარჩუნება ემყარება ახალგაზრდების კომპეტენციებს, მათ გაგებასა და თავდადებას ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობისადმი.

22. რეკომენდაცია უპირატესობას ანიჭებს იმ სფეროებს, რომელშიც, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ახალგაზრდებისათვის უფლებებზე ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით პრობლემურია, ის ასევე ითვალისწინებს ფუნქციური ზომების მიღებას. წევრი ქვეყნებისგან არის მოლოდინი, რომ მოხდება სიტუაციური ანალიზის ჩატარება და, ლოკალური კონტექსტიდან გამომდინარე, დაიგეგმება კოორდინირებული ქმედებები ახალგაზრდების ან მათი გარკვეული ჯგუფების წინაშე არსებული ბარიერების გადასაჭრელად.

23. ხელმისაწვდომ მტკიცებულებებში ვხვდებით ახალგაზრდების უფლებების დარღვევის იმ ფაქტებს, რომელშიც ახალგაზრდები დისკრიმინაციას განიცდიან ასაკის ნიშნით (მაგალითად, შრომის ბაზარზე), ან/და დისკრიმინაციას იმ სხვადასხვა ნიშნებით, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლით არის განსაზღვრული (სქესის, რასის, ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მოსაზრებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ეროვნულ უმცირესობასთან კავშირის, საკუთრების ან სხვა სტატუსის) საფუძველზე ან/და სხვა დისკრიმინაციული პრაქტიკის მაგალითებს, რომელსაც ახალგაზრდები აწყდებიან მათი ასაკის, ეთნიკური წარმოშობის, შეზღუდული შესაძლებლობების, სოციალურ-ეკონომიკური ფონის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გენდერული გამოხატვის გამო. დისკრიმინაციის აღმოფხვრა და თანაბარი შესაძლებლობების ხელშეწყობა ინტერვენციის გაძლიერების გზით წარმოადგენს ამ რეკომენდაციის ერთ-ერთ მთავარ მიზანს.

24. კიდევ ერთი იდენტიფიცირებული პრობლემა, ეხება ახალგაზრდებში საკუთარი უფლებებისა და ამ უფლებების დაცვის შესახებ ინფორმაციის არარსებობას. ERYICA ხაზს უსვამს, რომ ახალგაზრდები არ არიან ინფორმირებულნი თავიანთი სოციალური და ეკონომიკური უფლებების შესახებ (მაგალითად, საცხოვრებლის, დასაქმების და სოციალური უსაფრთხოების საკითხები)[4].

[4] ევროპის ახალგაზრდების ინფორმირებისა და კონსულტირების სააგენტო (2014), ეროვნულ დონეზე ახალგაზრდების ინფორმირებისა და კონსულტირების შესახებ კომპენდიუმი: http://eryica.org/.

ზოგიერთი ახალგაზრდისთვის, მაგალითად მათთვის, ვინც სოფლად ცხოვრობს ან არ აქვს წვდომა განათლებაზე ან ტრენინგებზე, განსაკუთრებულად რთულია უფლებების შესახებ ინფორმაციის მიღება. თუკი ახალგაზრდებმა არ იციან საკუთარი უფლებების შესახებ ან აქ აქვთ შესაბამისი ცოდნა, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, ეს ნიშნავს, რომ ხელმისაწვდომობა ნამდვილად კომპრომეტირებულია. ახალგაზრდების უფლებების ადეკვატური მონიტორინგი აუცილებელია.

25. სხვა კონკრეტული შეშფოთება ახალგაზრდების უფლებებზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, რომელიც აღწერილია, ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ მინისტრთა მე-9 კონფერენციის დეკლარაციის პროექტში ასევე აისახა ამ რეკომენდაციაში. ესენი მოიცავს:

- სირთულეებს, რომლებსაც მრავალი ახალგაზრდა განიცდის სკოლის მიტოვების შემდეგ, სტაბილური და ღირსეული დასაქმების ძიებისას;
- შეუსაბამო სოციალური და ჯანდაცვის სერვისების მიწოდებას ახალგაზრდების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად;
- მონაწილეობის არასაკმარის შესაძლებლობებს (კონკრეტულად იმ პოლიტიკის გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც უშუალოდ ახალგაზრდებს ეხება);
- რამდენიმე წევრ ქვეყანაში იურიდიულ და პრაქტიკულ დაბრკოლებებს მშვიდობიანი შეკრებისა და ასოციაციების თავისუფლად შექმნისთვის;
- არასაკმარის მხარდაჭერას ახალგაზრდული ინიციატივებისა და დამოუკიდებელი, თვითმართვადი ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის.

26. და ბოლოს, რაც შეეხება იმ პრიორიტეტული მიმართულებებს, რომელთა მოგვარებასაც რეკომენდაცია ითვალისწინებს, სამუშაო ჯგუფმა დაამატა რიგი ახალი საკითხები, რომლებიც ახალგაზრდობის საკითხების გაერთიანებული საბჭოს მიერ (რომელიც შეიკრიბა 2014 წლის მაისში) დანიშნული გაფართოებულმა ჯგუფმა წამოწია წინა პლანზე. ეს საკითხები, ძირითადად, ეხებოდა ახალგაზრდების მობილობას და მრავალფეროვან საზოგადოებაში ცხოვრებას.

VI. რას მოიცავს რეკომენდაცია?

27. პრეამბულის შემდეგ, რომელიც განსაზღვრავს რეკომენდაციის საფუძველს და ხაზს უსვამს რამდენიმე რელევანტურ ინსტრუმენტს, დოკუმენტი აღწერს სულ რვა რეკომენდაციას. დანართი განსაზღვრავს რეკომენდაციის სფეროს, დანიშნულებასა და საყრდენ პრინციპებს, მასში ჩამოთვლილია რიგი ღონისძიებები, რომელიც წევრმა ქვეყნებმა უნდა გაითვალისწინონ მათ ქვეყანაში სიტუაციის განხილვისას და იმის გადასაწყვეტად, თუ რა ახალი ზომები არის მისაღები. ამ ზომების მიღება შემდეგი პრიორიტეტული საკითხების მოგვარებას ემსახურება:

- დისკრიმინაციული პრაქტიკის მოგვარება;
- იურიდიული და პრაქტიკული დაბრკოლებების მოხსნა ახალგაზრდებისათვის, რათა მიეცეთ მშვიდობიანი შეკრების და ასოციაციებში გაწევრიანების უფლება;
- ისეთი ახალგაზრდობის პოლიტიკის ჩამოყალიბება ან განვითარება, რომელიც ხელს შეუწყობს ხელმისაწვდომობას;
- კოორდინირებული მიდგომა ახალგაზრდების უფლებებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, ყველა რელევანტურ პოლიტიკის სფეროში თანამშრომლობის გზით, ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე;
- ღონისძიებათა მთელი რიგი, რომელიც უნდა გაითვალისწინოს წევრმა ქვეყნებმა პოლიტიკისა და პროგრამების ფორმულირებისა და განხორციელებისას, ახალგაზრდების უფლებების ხელმისაწვდომობის განვითარებისა და ხელშეწყობისათვის.
- რეკომენდაციის გავრცელების უზრუნველყოფა კომპეტენტურ ორგანოებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის;
- მინისტრთა კომიტეტის მიერ რეკომენდაციის შესრულებისა და შემდგომი ზომების მიღების მონიტორინგი.

28. ევროპის საბჭო მიიჩნევს, რომ ახალგაზრდებს უნდა შეეძლოთ მათი უფლებებითა და თავისუფლებით სარგებლობა, ნებისმიერი სახის დისკირიმინაციის გარეშე, მათ შორის, ასაკის ნიშნით. ტერმინი "დისკრიმინაცია" მოიცავს დისკრიმინაციის ყველა ფორმას, მიუხედავად მათი საფუძვლისა, როგორც ეს აღწერილია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე -14 მუხლში ან დადგენილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცენდენტული სამართლით. ტერმინი "ინტერსექციურობა" გამოიყენება დისკრიმინაციის ფორმებსა და სისტემებს შორის გადაკვეთის აღსაწერად. ერთ-ერთი მაგალითია შავკანიანთა ფემინიზმი, რომელიც ამტკიცებს, რომ შავკანიანი ქალის დისკრიმინაციის გამოცდილებაზე კანის ფერი და სქესი არა თუ ერთმანეთისგან განყენებულად მოქმედებენ, არამედ ეს ნიშნები ერმანეთთან თანაკვეთაში მოდიან და ჩაგვრის კომპლექსურ ფორმას წარმოშობენ.

29. წევრ ქვეყნებს რეალური ცვლილებების მოხდენა შეუძლიათ ადამიანის უფლებების აქტიური ხელშეწყობითა და დაცვით, გენდერული თანასწორობის მისაღწევად ზომების შემოღებით, უმცირესობებისა და სხვა ჯგუფების მიმართ დისკრიმინაციის წინააღმდეგ მოქმედებით. მათ ასევე აქვთ მნიშვნელოვანი როლი მულტიკულტურული თემების განვითარებაში უმცირესობათა ინტეგრაციის გზით, მრავალფეროვანი საჭიროებებისა და ადათ-წესების, კულტურებისა და ცხოვრების სტილის გათვალისწინებით[5],[6].

30. რეკომენდაცია წევრ ქვეყნებს მოუწოდებს მიიღონ ინკლუზიური,

[5] ევროპის ახალგაზრდული ფორუმი (2012), პოლიტიკის დოკუმენტი ახალგაზრდობის უფლებებზე www.youthforum.org

[6] ევროპის ახალგაზრდული ფორუმი (2015), რეზოლუცია ინკლუზიურ საზოგადოებებზე: www.youthforum.org

კოორდინირებული და ფოკუსირებული მიდგომა იმ პრობლემების გადახედვისას, რომლებსაც ახალგაზრდები უფლებებზე ხელმისაწვდომობის დროს აწყდებიან. მათ ურჩევენ, მოხსნან სამართლებრივ ჩარჩოებში არსებული ბარიერები და დაბრკოლებები და პრიორიტეტული გახადონ უფლებების ხელმისაწვდომობის ხელშესაწყობად, მხარდაჭერისა და დასაცავად მიმართული ქმედებები ყველა შესაბამის პოლიტიკურ სფეროში, ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე.

31. რეკომენდაციის კიდევ ერთი დებულება წევრ ქვეყნებს მოუწოდებს შეიმუშაონ სტრატეგიები, რომლებიც ასახავს ადამიანის უფლებების პრინციპებს და იმავდროულად აღიარებს, რომ ახალგაზრდულმა საქმიანობამ შეიძლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ახალგაზრდების უფლებებზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობაში.
ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის სექტორს წევრ ქვეყნებთან და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან მუშაობის დიდი ისტორია აქვს დისკრიმინაციის საკითხის გადაჭრის და ადამიანის უფლებების პოპულარიზაციის მიმართულებით. მათი პორტფოლიო მოიცავს ისეთ კამპანიებს, რომლებიც ეხება სიძულვილის ენას[7], ბოშების უფლებებსა[8] და მრავალფეროვნებას, ადამიანის უფლებებსა და მონაწილეობას[9]. მათ ასევე შეიმუშავეს ახალგაზრდების, და განსაკუთრებით მულტიკულტურულ, დაუცველ რაიონებში მცხოვრები ახალგაზრდების მიერ განცდილი გარიყვის, დისკრიმინაციისა და ძალადობის საპასუხო ინსტრუმენტები, გამოყენებადი ახალგაზრდობის პოლიტიკასა და ახალგაზრდული საქმიანობაში[10]. ამ პროგრამების ფარგლებში შემუშავებული ინსტრუმენტები და რესურსები (მათ შორის სასწავლო მასალები, თამაშები, აქტივობები და კარგი პრაქტიკს მაგალითები) მნიშვნელოვანი რესურსია წევრი ქვეყნებისთვის, რომ ეფექტურად მოხდეს აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება და ახალგაზრდების ინფორმირება საკუთარი უფლებების შესახებ. პროექტმა ENTER! მხარი დაუჭირა წევრი ქვეყნებისადმი გაცემულ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას CM/Rec(2015)3, რომელიც დაუცველი რაიონების წარმომადგენელი ახალგაზრდების სოციალურ უფლებებზე ხელმისაწვდომობას ეხება. რესურსები ხელმისაწვდომია სქოლიოში მითითებულ ვებგვერდებზე.

32. ამ რეკომენდაციის შემდგომი დებულება გულისხმობს საჯარო ინსტიტუციებისა და სერვისების სტრუქტურისა და პრაქტიკის შეცვლას და, საჭიროების შემთხვევაში, პერსონალის კომპეტენციებისა და უნარების გაუმჯობესებას. საჯარო დაწესებულებებში იგულისხმება ისეთი ადგილები, როგორიცაა სკოლები, საავადმყოფოები, ბიბლიოთეკები, პარკები და ის საკონცერტო დარბაზები, რომლებსაც ხშირად სტუმრობენ ახალგაზრდები. ცვლილებები შეიძლება მოიცავდეს უფრო

[7] ევროპის საბჭო, მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ: www.coe.int/en/web/no-hate-campaign.
[8] ევროპის საბჭო, Dosta! კმარა! www.coe.int/en/web/portal/roma.
[9] ევროპის საბჭო, ყველა განსხვავებული - ყველა თანასწორი.
[10] ევროპის საბჭო, პროექტი ENTER! www.coe.int/en/web/enter/home .

ახალგაზრდული, ინკლუზიური გარემოს შექმნას, რომელიც თავად ახალგაზრდებთან დისკუსიების საფუძველზე მოხდება, ან ეს შეიძლება გულისხმობდეს ისეთ ცვლილებებს, რომლებიც ახალგაზრდების გარკვეული ჯგუფებისთვის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად, მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდებისთვის პანდუსების მოწყობას ან სკოლისშემდგომი აქტივობების განრიგის მორგებას საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, რათა სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებს გაუადვილდეთ სახლში გამგზავრება.

33. რეკომენდაციის მთელ ტექსტში ხაზგასმულია ახალგაზრდობის პოლიტიკისა და ახალგაზრდული საქმიანობის როლი უფლებებზე ხელმისაწვდომობის დაჩქარებაში. ის მნიშვნელოვანი როლი, რომელიც ახალგაზრდულმა საქმიანობამ უნდა შეასრულოს, ცხადად ჩანს ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის დეპარტამენტის მიმდინარე და დაგეგმილ სამუშაო პროგრამაში[11]. პრიორიტეტულია ახალგაზრდობის პოლიტიკაში უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის წახალისება, რომლის საფუძველი იქნება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სისტემის ნორმები, სტანდარტები და პრინციპები, რათა ახალგაზრდობის პოლიტიკამ უზრუნველყოს ახალგაზრდების რეალური საჭიროებებისა და უფლებების გათვალისწინება პოლიტიკის სხვადასხვა სფეროში. პროგრამის ორიენტაცია მოიცავს: ახალგაზრდების ავტონომიურ ცხოვრების ეტაპზე გადასვლას, ახალგაზრდების უფლებებზე ხელმისაწვდომობას, მათი ცოდნისა და შესაძლებლობების გაზრდას დისკრიმინაციასთან ბრძოლაში და არაფორმალური განათლების გზით კომპეტენციების შეძენას.

34. ეს რეკომენდაცია წევრ ქვეყნებს მოუწოდებს შექმნან ან განავითარონ ახალგაზრდობის პოლიტიკა, რაც უფრო ეფექტურად შეუწყობს ხელს ახალგაზრდების უფლებებზე ხელმისაწვდომობას. ამასთან დაკავშირებით, წევრ ქვეყნებს მოეთხოვებათ განიხილონ რიგი კონკრეტული ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების უფლებების ხელმისაწვდომობას და წაახალისებს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების წარმომადგენლებს გააკეთონ იგივე. ზომები მოცემულია შემდეგ სათაურებში:

- განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- ახალგაზრდების ავტონომია და სოციალური ინკლუზია;
- ახალგაზრდების მობილობა;
- აქტიური მოქალაქეობა, დემოკრატია და მონაწილეობა;
- მრავალფეროვან საზოგადოებებში თანაცხოვრება;
- ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და დაცვა;
- ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობა;

ა. განათლებაზე ხელმისაწვდომობა

36. როდესაც ახალგაზრდებს განათლების სრული უფლებით სარგებლობა

[11] ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის სექტორის 2016-2017 პრიორიტეტების სახელმძღვანელო.

და თავიანთი სრული საგანმანათლებლო პოტენციალის გამოიყენება სურთ, ისინი აწყდებიან მრავალ ბარიერსა და გამოწვევებს. ეკონომიკური და სოციალური წნეხის, ან დისკრიმინაციის გამო[12],[13], ძალიან ბევრი ახალგაზრდა წყვეტს სწავლას.
რეკომენდაციაში შემოთავაზებული ზომები ხელს უწყობს სწავლის პროცესში ჩართულობის შენარჩუნებას ან ხელახალ ჩართვას, პიროვნულ განვითარებას და მრავალფეროვნების პატივისცემას.

37. ამ კატეგორიაში მოყვანილი ზომები ეხება ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. მინისტრთა კომიტეტის წევრი ქვეყნებისადმი გაცემული რეკომენდაცია CM/Rec(2012)13 ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის შესახებ, გვთავაზობს განმარტებას, თუ რა იგულისხმება ხარისხიან განათლებაში, რომელიც წევრმა ქვეყნებმა უნდა გამოიყენონ ამ ზომების მიღების დროს. მოკლედ რომ ითქვას, ხარისხიანი განათლება აღქმულია, როგორც განათლება, რომელიც:

- უზრუნველჰყოფს სწავლებაზე ხელმისაწვდომობას ყველა მოსწავლისა და სტუდენტისათვის, განსაკუთრებით კი, მოწყვლადი და ჩაგრული ჯგუფებისათვის, მათ საჭიროებებზე მორგებული მიდგომით;
- უზრუნველჰყოფს უსაფრთხო და არაძალადობრივ სასწავლო გარემოს, სადაც ყველას უფლებები დაცულია;
- სრული პოტენციალით ავითარებს თითოეული მოსწავლისა და სტუდენტის პიროვნებას, ნიჭს, მენტალურ და ფიზიკურ შესაძლებლობებს, უბიძგებს მათ, ბოლომდე მიიყვანონ ყველა სასწავლო პროგრამა, რომელშიც ჩართულნი არიან;
- ხელს უწყობს დემოკრატიას, ადამიანის უფლებათა პატივისცემასს და სოციალურ თანასწორობას სასწავლო გარემოში, რომელიც ყველას სასწავლო და სოციალურ საჭიროებას პასუხობს;
- მოსწავლეებსა და სტუდენტებს საშუალებას აძლევს განივითარონ შესაბამისი კომპეტენციები, თავდაჯერებულობა და კრიტიკული აზროვნება, იმისათვის რომ გახდნენ პასუხისმგებლიანი მოქალაქეები და გაიუმჯობესონ დასაქმებისუნარიანობა;
- მოსწავლეებსა და სტუდენტებს გადასცემს უნივერსალურ და ადგილობრივ კულტურულ ღირებულებებს, და ამასთან, აღჭურავს მათ საკუთარი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობით;
- გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების გზებით ადასტურებს ფორმალური და არაფორმალური სწავლების შედეგებს, რაც მოსწავლეებისა და სტუდენტების მიღებული ცოდნისაა და კომპეტენციების აღიარების საშუალებას იძლევა სამომავლო სწავლების, დასაქმების ან სხვა მიზნით;

[12] ევროპის ახალგაზრდული ფორუმი (2013), პოლიტიკის დოკუმენტი ხარისხიანი განათლების შესახებ: www.youthforum.org.
[13] ევროპის სკოლის მოსწავლეთა საორგანიზაციო ბიურო (2013-2014), განათლება: პრობლემა გვაქვს: www.obessu.org/inclusion

- ეყრდნობა კვალიფიციურ მასწავლებლებს, რომლებიც უწყვეტად განაგრძობენ პროფესიულ განვითარებას;
- არ არის კორუფციული.

38. ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის სექტორის მრავალწლიანმა საქმიანობამ აჩვენა პროგრესული და ინოვაციური ახალგაზრდობის პოლიტიკისა და ახალგაზრდული საქმიანობის სარგებელი. ამგვარი პოლიტიკა ამ რეკომენდაციის ქვაკუთხედია. ახალგაზრდობის პოლიტიკა და ახალგაზრდული საქმიანობა უნდა იყოს იმ სტრატეგიების ცენტრალური ელემენტები, რომელსაც წევრი ქვეყნები ქმნიან ახალგაზრდების უფლებებზე ხელმისაწვდომობის გასაზრდელად.

39. რეკომენდაცია აღიარებს არაფორმალური განათლების მნიშვნელობასა და ღირებულებას, ასევე, სწავლის. კვალიფიკაციისა და კომპეტენციების მხრივ საერთო ჩარჩოების დამკვიდრებას, როგორც არაფორმალურ, ისე ფორმალურ დონეზე. ამგვარი პროგრესი ხელს შეუწყობს მობილობისა და ახალგაზრდების დასაქმების შესაძლებლობების ზრდას.[14], [15]

ბ. ახალგაზრდების სოციალური ინკლუზია და ავტონომია

40. ახალგაზრდებისათვის სხვაზე დამოკიდებულებიდან ავტონომიურობაზე ტრანზიციის პერიოდი გაურკვეველი და ბუნდოვანია. მათ სულ უფროდაუფრო უძნელდებათ განათლებიდან დასაქმებაზე გადასვლის პროცესი[16]. უმაღლეს განათლებასა და ტრენინგებზე მზარდი ფასები, დაბალი ანაზღაურება და დისკრიმინაცია სამუშაო ბაზარზე ნიშნავს, რომ უამრავი ახალგაზრდა დამოუკიდებელ ცხოვრებას უზარმაზარი ვალით იწყებს. კრედიტზე, საცხოვრისზე და ფინანსურ დახმარებაზე ხელმისაწვდომობა ბევრ წევრ ქვეყანაში ახალგაზრდებისთვის ბევრად უფრო რთულია. წევრმა ქვეყნებმა უნდა შეისწავლონ ახალგაზრდებზე გათვლილი სოციალური დახმარების სქემები, საცხოვრებელი შენობების პირობები და დაფინანსების სისტემები. არსებობს რამდენიმე საყურადღებო მაგალითი იმისა, თუ რას აკეთებს ამ კუთხით ზოგიერთი ევროპული მთავრობა ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან პარტნიორობით,

[14]ევროპის საბჭოში არაფორმალურ განათლებასა და სოციალურ ერთიანობაზე მომუშავე ჯგუფი (2002).

[15] ევროპის ფედერაცია კულტურათაშორის სწავლისთვის (EFIL), საბაზო საფეხურის სკოლის სტუდენტთა მობილობისა და საზღვარგარეთ გატარებული სასწავლო პერიოდის შესახებ კვლევა: www.efil.afs.org.

[16] მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდების უმუშევრობის დონის დაწევა დაწყებულია ზოგიერთ წევრ ქვეყანაში, მთლიანობაში 15-24 წლის ახალგაზრდა ევროპელების 23%-მა ვერ შეძლო დასაქმება 2014 წლის იანვარში. 2012 წელს ევროპის მასტაბით 14.6 მილიონი ახალგაზრდა არ იყო ჩართული განათლებაში, დასაქმებაში ან ტრენინგში (NEET-ები), რაც ტოლფასია 15-29 წლის მთლიანი მოსახლეობის 15.9%-ის. 2007 და 2013 წლებს შორის ახალგაზრდების უმუშევრობის დონე სულ მცირე გაორმაგდა ევროკავშირის 12 ქვეყანაში: ბულგარეთი, ხორვატია, კვიპროსი, ჩეხეთის რესპუბლიკა, საბერძნეთი, ირლანდია, ლატვია, ლიტვა, სლოვენია, ესპანეთი.

"ევროკომისიის ახალგაზრდობის გარანტიის"[17] გეგმების ფარგლებში.

41. არაანაზღაურებადი და დაბალანაზღაურებადი სტაჟირებების პროგრამები, როგორც ახალგაზრდების პირველი ნაბიჯი სამუშაო ბაზარზე, უფროდაუფრო ხშირდება, ამ შემთხვევაში ახალგაზრდები, რომელთაც არ აქვთ ფინანსური მხარდაჭერა ოჯახებიდან აწყდებიან გარკვეულ გამოწვევებს.[18] სტაჟირება ტრანზიციის ეტაპზე მნიშვნელოვანი ნაბიჯია, თუმცა ის უნდა იყოს შესაბამისად ანაზღაურებადი, რათა შეძლოს თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა და მხარი დაუჭიროს ახალგაზრდების ავტონომიური და ღირსეული ცხოვრების უფლებას. სტაჟირება შეიძლება იყოს ექსპლუატაციური და ძალიან ბევრ ახალგაზრდას შეიძლება მოუწიოს ერთი ცუდად ანაზღაურებადი ან უხელფასო სტაჟირებიდან მეორეზე გადასვლა. არსებობს უამრავი მტკიცებულება იმისა, რომ ფორმალური განათლების მიღმა სტაჟირებები, ხშირად, ხარისხიან დასაქმებას ანაცვლებენ.[19] ახალგაზრდების უფლებებზე სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მოითხოვს ისეთი ცუდი პრაქტიკების გაძლიერებულ პრევენციას, როგორიც არის სტაჟირების გახანგრძლივება, და ასევე, ისეთი ხარისხიანი სტანდარტებისა და სერტიფიცირების სისტემის გამოყენებას, რომელიც ხელს შეუწყობს სტაჟირების დროს მიღებული ცოდნისა და უნარების აღიარებას.

42. სამუშაო ბაზარზე ახალგაზრდები ყურადსაღებ დისკრიმინაციას განიცდიან და ხშირად ექსპლუატაციისა და მუშათა კოლექტიური უფლებების დარღვევის რისკის ქვეშაც ხვდებიან, მათი ასაკისა და გამოცდილების ნაკლებობის მიზეზით.[20] დღეს, ევროპის მასშტაბით დაბალი ანაზღაურება და ნულოვანი საათის ხელშეკრულებები სამუშაო ბაზრის დამახასიათებელი თვისება გახდა, ეს პრაქტიკა ძირითადად ახალგაზრდებს აზარალებთ.[21] ასაკის გამო კეთილდღეობის კრედიტსა და საცხოვრისის მხარდაჭერაზე უარის თქმა კიდევ უფრო ამძაფრებს ზოგიერთი ახალგაზრდის პრობლემას, როცა ისინი ცდილობენ ცხოვრების ღირსეული სტანდარტის მოსაპოვებლად შესაბამისი მხარდაჭერის მოპოვებას.

43. პოლიტიკა უნდა განიხილავდეს და ეხებოდეს ახალგაზრდების განსაკუთრებულ მდგომარეობას სხვადასხვა კონტექსტში. უახლესი ანალიზი ხაზს უსვამს, რომ პოლიტიკის შექმნისას მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ახალგაზრდები ძალიან მრავალფეროვანი ჯგუფია, სხვადასხვა მახასიათებლებითა და მრავალი საჭიროებით. პრობლემის

[17] ევროპის ახალგაზრდული ფორუმი (2014), ახალგაზრდული ორგანიზაციები და გარანტია ახალგაზრდობის შესახებ: www.youthforum.org.

[18] ევროპის ახალგაზრდული ფორუმი (2014), ევროპის ხარისხის ქარტია სტაჟირებისა და შეგირდობის შესახებ: www.youthforum.org.

[19] იგივე.

[20] იგივე.

[21] ევროპის ახალგაზრდული ფორუმი (2013), ხარისხიანი სამსახური ახალგაზრდებისთვის: www.youthforum.org.

მოგვარების მხოლოდ ერთი გზა ვერ იქნება გამოყენებული ყველა ახალგაზრდაზე. მაგალითად,სოფლად მცხოვრები ახალგაზრდები უფლებებზე ხელმისაწვდომობის კუთხით კონკრეტულ წინაღობებს ეჩეხებიან. ბევრმა ქვეყნებმა უნდა მიიღონ ზომები, რომ სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების უფლებებზე წვდომა უზრუნველყოფილი იყოს. ეს გავლენას იქონიებს პოლიტიკის ისეთ სფეროებზე, როგორიცაა განათლება, დასაქმება, საცხოვრისი და ტრანსპორტი, ისევე როგორც ახალგაზრდობის პოლიტიკაზე. ახალგაზრდებს, რომლებიც სოფლად ცხოვრობენ, არ უნდა ჰქონდეთ მოლოდინი, რომ მათთვის განკუთვნილი საჯარო სერვისები უფრო დაბალი ხარისხის იქნება, ვიდრე ურბანულ გარემოში მცხოვრებ ახალგაზრდებისთვის.

გ. ახალგაზრდების მობილობა

მაშინ, როცა უფროდაუფრო მეტმა ახალგაზრდამ ისარგებლა დასაქმების, სწავლისა და მოხალისეობრივი მოგზაურობის გაზრდილი შესაძლებლობებით - ევროპის შიგნით, ევროპის მიმართულებით და ევროპიდან დანარჩენ მსოფლიოში - ასევე, გაიზარდა მობილობის ბარიერების რაოდენობაც, მიუხედავად იმისა, რომ მოგზაურობა ძალიან მნიშვნელოვანია დასაქმებისთვის, უნარ-ჩვევების განვითარებისა და კულტურათშორისი გაგებისათვის. როგორც მინისტრთა კომიტეტმა ადრე აღნიშნა, სტუდენტთა საერთაშორისო მობილობა ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია, რომლის თანახმად შექმნილია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე (EHEA) და რომელიც წარმოადგენს ეკონომიკური პროგრესის, სოციალური განვითარების და კულტურათშორისი გაგების მნიშვნელოვან იარაღს.[22] დაბრკოლებები, რომელსაც ახალგაზრდები აწყდებიან სწავლის, მოხალისეობის და ტრენინგების მიზნით ევროპაში გადაადგილებისას, მოიცავს ინფორმაციის ნაკლებობას, კვალიფიკაციის აღიარებასთან დაკავშირებული პრობლემების შიშს, ვიზებისა და ბინადრობის ნებართვების მიღების სირთულეებს და ფინანსური რესურსების ნაკლებობას. ახალგაზრდა მოხალისეებმა შეიძლება დაკარგონ სოციალური უსაფრთხოების დაცვაზე წვდომა ან უსამართლოდ მიიღონ უარი მობილობაზე.[23]

45. წევრ ქვეყნებს შორის უკეთესი თანამშრომლობა ვიზასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეამცირებს ბიუროკრატიას და, შესაბამისად, გაუადვილებს ახალგაზრდებს, მიუხედავად მათი წარმომავლობისა, ევროპის ქვეყნებში გადასვლას. რეკომენდაციებში აღწერილი ზომები მოიცავს რამდენიმე ძალიან პრაქტიკულ ნაბიჯს ევროპაში გადაადგილებისას ახალგაზრდების წინაშე არსებული ბარიერების შესამსუბუქებლად. ერთ-ერთ ვარიანტად შეგვიძლია განვიხილოთ გამარტივებული სავიზო აპლიკაცია, რომლის შევსებაც ონლაინ არის შესაძლებელი (რაც ასევე შეამცირებს ლოგისტიკურ ხარჯებს და სავიზო განაცხადების ლოდინის დროს); მეორე შეთავაზება არის მობილობის

[22] მინისტრთა კომიტეტის პასუხი რეკომენდაცია 2066-ზე (2015).

[23] ევროპის ახალგაზრდული ფორუმი (2014), რეზოლუცია ახალგაზრდების მობილობის გაზრდის მიზნით ვიზებზე ხელმისაწვდომის გაადვილებაზე.

პროგრამებზე წვდომის გაუმჯობესება, მაგალითად, ერასმუს+[24]-სა და ახალგაზრდული ბარათზე. ახალგაზრდების მობილობის შესახებ შეთანხმებაში გაწევრიანებით, ახალგაზრდული ბარათის წევრ ქვეყნებს ეძლევათ შესაძლებლობა გამოიყენონ ინსტრუმენტი, რომელიც ახალგარზდებში მაღალი სანდოობით სარგებლობს და აკავშირებს მათ ახალგაზრდების მობილობისა და აქტიური მოქალაქეობის ინოვაციურ პრაქტიკებთან. [25]

დ. აქტიური მოქალაქეობა, დემოკრატია და მონაწილეობა

46. თუკი უფრო დემოკრატიული, ინკლუზიური და წარმატებული საზოგადოების აშენება გვსურს, ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში არის აუცილებელი. როგორც ევროპის საბჭოს გადახედილი ევროპული ქარტია ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ ამბობს, "ნებისმიერი თემის დემოკრატიულ ცხოვრებაში მონაწილეობა უფრო მეტს გულისხმობს, ვიდრე არჩევნებში მონაწილეობა ან ხმის მიცემაა, მიუხედავად იმისა, რომ ესენიც მნიშვნელოვანი ელემენტებია. მონაწილეობა და აქტიური მოქალაქოება ნიშნავს, გქონდეს უფლება, საშუალება, სივრცე, შესაძლებლობა და, როცა საჭიროა, შესაბამისი მხარდაჭერა, რომ მიიღო მონაწილეობა და იქონიო გავლენა გადაწყვეტილებებზე, ჩაერთო აქტივობებში და წვლილი შეიტანო უკეთესი საზოგადოების მშენებლობაში."[26]

47. როდესაც წევრი ქვეყნები მხარს უჭერენ ახალგაზრდების მონაწილეობას, მათ წვლილი შეაქვთ ახალგაზრდების სოციალურ ინტეგრაციაში, ეხმარებიან ახალგაზრდებს, გაუმკლავდნენ არა მხოლოდ ახალგაზრდობასთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და წნეხს, არამედ ასევე თანამედროვე საზოგადეობის გამოწვევებს, სადაც ხშირად ანონიმურობა და ინდივიდუალიზმია გაბატონებული. თუმცა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების წარმატებული, მდგრადი და მნიშვნელოვანი მონაწილეობისთვის უფრო მეტია საჭირო, ვიდრე პოლიტიკური ან ადმინისტრაციული სისტემების განვითარება და რესტრუქტურიზაცია. ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშესაწყობად შექმნილი ნებისმიერი პოლიტიკა ან ქმედება, უნდა უზრუნველყოფდეს, რომ კულტურული გარემო პატივს სცემს ახალგაზრდებს და ასევე უნდა ითვალისწინებდეს, ახალგაზრდების საჭიროებებს, გარემოებებისა და მისწრაფებების მრავალფეროვნებას. "თქვი შენი სიტყვა! - ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო გადახედილ ევროპულ ქარტიაზე ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში" - შეიცავს სასარგებლო რჩევებს ადილობრივ დონეზე

[24] http://ec.europa.eu/programmes/erasmus-plus/index_en.htm.

[25] ევროპის საბჭო (2011), ევროპის საბჭოში ახალზრდული ბარათის გამოყენებით ახალგაზრდების მობილობის შესახებ ნაწილობრივი ხელშეკრულება: www.eyca.org/youth-mobility/partial-agreement.

[26] გადახედილი ევროპული ქარტია ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ: www.coe.int/youth.

ახალგაზრდების მონაწილეობის განვითარების შესახებ, განსაკუთრებით ახალგაზრდულ ორგანიზაციებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის თვალსაზრისით, და ასევე მოიცავს სხვადასხვა საგანმანათლებლო საქმიანობას, რომელიც გამოიყენება დამხმარე სასწავლო საშუალებებად.[27]

48. როგორც გადახედილი ევროპული ქარტია ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში გვეუბნება, მნიშვნელოვანია, რომ უფლებებზე ხელმისაწვდომობის გასაზრდელად მიმართული სტრატეგიების შემუშავებასა და გატარებაში წევრი ქვეყნები უზრუნველყოფდნენ ახალგაზრდებისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების პარტნიორებად ჩართვას. ისევე, სტრატეგიის მომზადებაზე პასუხისმგებელ პირებთან ერთად, უნდა მოხდეს ახალგაზრდების სრული ჩართულობა ამ სტრატეგიების შედეგების მონიტორინგსა და შეფასებაში.. მათი წვლილი ახალგაზრდების პრობლემების ანალიზში უნიკალური და მნიშვნელოვანი იქნება, რაც უზრუნველჰყოფს სტრატეგიაში ყველაზე ეფექტური ზომების შეტანას. ახალგაზრდების ჩართულობა სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობასაც შეუწყობს ხელს, განსაკუთრებით იმ ახალგაზრდების, რომლებიც გამოთიშული არიან და, შეიძლება ითქვას, ყველაზე მეტად საჭიროებენ დახმარებას ადამიანის უფლებებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. გარდა ამისა, ახალგაზრდების მონაწილეობა სტრატეგიის მონიტორინგში და განხილვაში ფუნდამენტური იქნება იმის გასაგებად, თუ რამ იმუშავა კარგად და რა შემდგომი ქმედებებია საჭირო.

49. ზომები, რომლებსაც ამ კატეგორიაში განვიხილავთ და რომლებიც წევრმა ქვეყნებმა უნდა მიიღონ, მოიცავს ყველა ახალგაზრდის თავისუფლად შეკრების, ასოცირებისა და გამოხატვის შესაძლებლობების გამარტივებას, მათ შორის ელექტრონულ მონაწილეობას, როგორც დამატებით ინსტრუმენტს. ახალგაზრდები ონლაინ და სოციალურ მედიაში სხვადასხვა გზებით ერთვებიან და ამ მედია საშუალებებში გამოხატვის თავისუფლების დაცვა მნიშვნელოვანი ნაბიჯია ახალგაზრდების უფლებებზე ხელმისაწვდომობისკენ. სხვა ზომები წევრ ქვეყნებს მოუწოდებს, დაიცვან ახალგაზრდების მონაწილეობის უფლება, ახალგაზრდების მიერ მართული, დამოუკიდებელი, დემოკრატიული ორგანიზაციების მხარდაჭერით და აღიარებით, როგორც ყველა ახალგაზრდის მონაწილეობისა და ჩართულობის საშუალება.

50. საჭიროა მოგვარდეს ახალგაზრდების მონაწილეობის ბარიერები, თუ წევრ ქვეყნებს სურთ გაუმკლავდნენ უფრო ფართო დემოკრატიულ დეფიციტს და მზარდ უთანასწორობას ევროპულ საზოგადოებაში. ბევრი ქვეყნების მთავრობებს მოეთხოვებათ მოხსნან ის ბარიერები, რომელიც ახალგაზრდების დემოკრატიულ მონაწილეობას აფერხებს და საჭიროების

[27] ევროპის საბჭო (2018), თქვი შენი სიტყვა! - ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ გადახედილი ევროპული ქარტიის სახელმძღვანელო: www.coe.int/youth.

შემთხვევაში განიხილონ ხმის მიცემის სისტემა. ახალგაზრდების პოლიტიკური ჩართულობის ცვალებადი სახე, როგორც ასახულია კონგრესის მოხსენებაში ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ - „ახალგაზრდების მონაწილეობის ბარიერების ჩამოშლა: საერთო ენა ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებისა და ახალგაზრდებისთვის"- ხაზს უსვამს ახალგაზრდებსა და არჩეულ წარმომადგენლებს შორის დიალოგის გაუმჯობესების მიზნით ზომების მიღების აუცილებლობას. კონგრესის მოხსენება ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების წარმომადგენლებს სთავაზობს "აითვისონ კომუნიკაციის ახალი საშუალება, რომელსაც ფართოდ იყენებენ ახალგაზრდები, რაც ამ ჯგუფს საშუალებას მისცემს ეფექტურად მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, გააჟღერონ მათი საჭიროებები და პრობლემები სასურველი ინსტრუმენტების გამოყენებით."[28] წევრ ქვეყნებს, ასევე, მოეთხოვებათ განიხილონ ხმის მიცემის ასაკის შემცირების საფუძვლები და არგუმენტები ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე, როგორც ახალგაზრდების დემოკრატიული ჩართულობის გაზრდის საშუალება. როგორც ჩანს, ამ მეთოდმა შეიძლება, ხელი შეუწყოს ახალგაზრდა ამომრჩეველთა რაოდენობის შემცირების შეჩერებას. [29]

ე. თანაცხოვრება მრავალფეროვან საზოგადოებაში

51. ევროპის საბჭო მნიშვნელოვან როლს თამაშობს დისკრიმინაციის, შეუმწყნარებლობის და გარიყულობის წინააღმდეგ ბრძოლაში ახალგაზრდული ორგანიზაციების და სამოქალაქო საზოგადოების დახმარებით; თანატოლთა და არაფორმალური განმანათლების ხელშეწყობით; მარგინალიზებული ჯგუფების მონაწილეობისა და ინკლუზიის გაძლიერებით; კულტურათშორისი კომპეტენციების გაფართოებით და ახალგაზრდებს შორის საერთაშორისო გაგების ჩამოყალიბებით; და ევროპაში ახალგაზრდების სოციალური და პოლიტიკური შემოქმედებითობის გამოყენებით.

52. ახალგაზრდებს უმნიშვნელოვანესი როლი აქვთ მშვიდობიანი სახელმწიფოს მშენებლობაში, დაფუძნებული მრავალფეროვნებასა და ინკლუზიაზე, პატივისცემის, ტოლერანტობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით. ახალგაზრდობის სექტორის წარმატებები, როგორიცაა: კამპანია „ყველა განსხვავებული - ყველა თანასწორი", პროექტი ENTER!, და მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმეგ არის ზემოხსენებულის კარგი მაგალითი. მსგავსი კამპანიების მიზნები უნდა წარმოადგენდეს ყველა გრძელვადიანი პოლიტიკის ძირითად კომპონენტს, რომელიც

[28] ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი (2015), CG/2015(29) 7PROV, ახალგაზრდების მონაწილეობის ბარიერების მოხსნა: ლინგვა ფრანკას მიღება ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებებისთვის www.coe.int/Congress

[29] ზეგლოვცი (2011), მიეცი ხმა 16 წლისამ, ახალგაზრდების მიერ ხმის მიცემის დონე - მტკიცებულებები ავსტრიიდან, დოკუმენტი მოწოდებული ÖGPW-სგან (Österreichische Gesellschaft für Politikwissenschaft), 2011 წლის 2 დეკემბერი; ფრანკლინ მ.ნ. (2004), ხმის მიცემის დონე და ელექტორალური კონკურენციის დინამიკა ჩამოყალიბებულ დემოკრატიებში 1945 წლის შემდეგ, კემბრიჯის უნივერსიტეტის გამოცემა: ბჰაკტი ი., ჰანსენი კ.მ. და ვას ჰ. (2012), ურთიერთობა.

ხელს უწყობს ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის, როგორც საერთო ფუნდამენტური ღირებულებების დამკვიდრებას და უფრო მეტად ჰუმანური და ინკლუზიური ევროპის მშენებლობას. ახალგაზრდების მიერ შეტანილი წვლილი საერთო ხედვაში, თუ როგორ ავირიდოთ კონფლიქტი და ძალადობა და როგორ მივაღწიოთ მდგრად მშვიდობას, მაგ. ამანის ახალგაზრდული დეკლარაცია ახალგაზრდობის, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ, თვალსაჩინოს ხდის რა რეალური და პოტენციური სარგებლის მოტანა შეუძლიათ ახალგაზრდებს მშვიდობის, სამართლიანობისა და შერიგების კუთხით. მნიშვნელოვანი როლი, რომელსაც ახალგაზრდულ საქმიანობა ასრულებს ამ თავდადებისა და ენერგიის ეფექტურად გამოყენებაში, ადასტურებს ახალგაზრდობის ეროვნული პოლიტიკის მრავალი მიმოხილვა, რომელიც ტარდება ახალგაზრდობის საკითხთა გაერთიანებული საბჭოს (CMJ) პასუხისმგებლობით.[30]

3. ინფორმაციისა და უსაფრთხოების ხელმისაწვდომობა

53. ახალგაზრდებს უნდა ჰქონდეთ წვდომა ინფორმაციაზე, რომელიც ეხება მათ უფლებებს. ადამიანის უფლებების თემაზე ხარისხიანი ინფორმაციისა და განათლების მიღება ფუნდამენტური წინაპირობაა, რომ ახალგაზრდებს ჰქონდეთ შესაძლებლობა აქტიურად მოითხოვონ თავიანთი უფლებების შესრულება უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების ფარგლებში.

54. წევრმა ქვეყნებმა უნდა შექმნან ეფექტური მექანიზმები ახალგაზრდების (და ახალგაზრდებთან მომუშავე პროფესიონალების) ინფორმირებისა და განათლებისთვის იმ საკითხებზე, რომლებიც მათ ეხებათ და იმ მექანიზმებზე, რომელთა გამოყენებაც შეუძლიათ მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში. მსგავსი მექანიზმები, საჩივრების პროცედურების ჩათვლით, უნდა იყოს ადვილად ხელმისაწვდომი ახალგაზრდების ყველა ჯგუფისთვის, განსაკუთრებით მათთვის, ვინც დისკრიმინირებული ან სოციალურად გარიყულია. ევროპის საბჭომ შეიმუშავა მრავალი რესურსი, რომელიც წევრ ქვეყნებს ამ მხრივ თავიანთი პასუხისმგებლობის შესრულებაში დაეხმარება. მაგალითად, "კომპასი", ახალგაზრდებისთვის ადამიანის უფლებების სწავლების სახელმძღვანელო და "კომპასიტო", ბავშვთა უფლებების სწავლების სახელმძღვანელო ფართოდ გამოიყენება მთელ ევროპაში.[31] ERYICA-ს ინსტრუმენტთა ნაკრები ახალგაზრდების უფლებებზე ხელმისაწვდომობის შესახებ წევრ ქვეყნებს ინფორმირებისა და კონსულტაციის საშუალებით სთავაზობს უამრავ სასარგებლო მასალას და რესურსს ახალგაზრდების ინფორმირებისთვის, მათთვის მიმზიდველი ფორმით, მათივე უფლებების შესახებ.[32]

55. კიდევ ერთი რესურსი, რომელიც მხედველობაში იღებს ზემოხსენებულ

[30] ევროპის საბჭოს მიერ მომზადებული ეროვნული ახალგაზრდობის პოლიტიკის საერთაშორისო მიმოხილვა: www.coe.int/youth.

[31] კომპასი: კომპასიტო: www.coe.int/fr/web/compass.

[32] ევროპის ახალგაზრდების ინფორმირებისა და კონსულტირების სააგენტო (2015), ახალგაზრდების უფლებებზე ხელმისაწვდომა ახალგაზრდების ინფორმირებისა და კონსულტირების გზით: http://eryica.org

ზომებს, არის ანგარიში ევროპის საბჭოს ერთ-ერთი პროექტის „ძირითადი პრინციპების შესწავლა და ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემის ძირითადი პრინციპებისა და ფუნქციონირების შესწავლა“, რომლის მიზანია ევროპული საშუალო სკოლის მოსწავლეებს გააცნოს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ევროპული სამართლის ძირითადი პრინციპები ის ასევე, მიზნად ისახავს, დაეხმაროს ახალგაზრდებს, გაიგონ როგორ ფუნქციონირებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რა კავშირი აქვს ეროვნულ სამართალთან და რა გავლენას ახდენს ევროპულ საზოგადოებებზე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცენდენტული სამართალი და მისი ისტორიული განაჩენები წარმოადგენენ პროექტის მთავარ კომპონენტს და ქმნის სასწავლო აქტივობების კონკრეტულ ბაზისს წევრ ქვეყნებში მიმდინარე ეროვნული სასკოლო პროგრამების ფარგლებში ადამიანის უფლებების და მოქალაქეობის სწავლებისთვის. პროექტის მიზანია, დაეხმაროს ახალგაზრდებს, მიიღონ მეტი ცოდნა თავიანთ უფლებებზე. ასევე, ახალგაზრდების ყოველდღიურობაში წაახალისოს იმ ღირებულებების არსებობა, როგორიცაა ტოლერანტობა, სხვების პატივისცემა, სამართლიანობა და თვითნებობისგან დაცვა.[33]

56. ადამიანთა უფლებების შესახებ ახალგაზრდების ინფორმირების ეფექტური სისტემა ხელს შეუწყობს სამთავრობო სტრუქტურებსა და ახალგაზრდულ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობას და დაეხმარება ბიუროკრატიული და პოლიტიკური ბარიერების მოხსნას დემოკრატიული მოქალაქეობის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ ქარტიის განხორციელების პროცესში.

57. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა არის მონაწილეობის ერთ-ერთი საკვანძო კომპონენტი, ხოლო ახალგაზრდების უფლება, მიიღონ ინფორმაცია შესაძლებლობებსა და საკითხებზე, რომლებიც მათ ეხებათ, სულ უფროდაუფრო არის გამოკვეთილი ევროპულ და საერთაშორისო დოკუმენტებში.[34] იმისათვის, რომ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ საქმიანობასა და ცხოვრებაში, ან ისარგებლონ მათთვის განკუთვნილი მომსახურებებითა და შესაძლებლობებით, ახალგაზრდებმა მეტი უნდა იცოდნენ ამის შესახებ. მათთვის საინტერესო საქმიანობებსა და პროექტებში მონაწილეობა, რომლის ორგანიზებასაც თავად უძღვებიან, ხშირად წარმოადგენს საზოგადოებაში, მათ შორის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მათი უფრო ღრმა მონაწილეობის წახალისებისკენ გადადგმულ ნაბიჯს. ადგილობრივმა და რეგიონულმა ხელისუფლებამ და სხვა შესაბამისმა პირებმა ხელი უნდა შეუწყონ და დაეხმარონ ახალ-

[33] თავისუფლება(ები), სასწავლო აქტივობები მეორადი საბაზისო განათლებისთვის, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო.

[34] მაგალითისთვის, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა არის მნიშვნელოვანი ასპექტი ორივე დოკუმენტში: ევროპის საბჭოს გადახედილ ევროპულ ქარტიაში ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ (2008) და ბავშვებისა და 18 წლამდე ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაში CM/Rec(2012)2.

გაზრდებისთვის ადეკვატური საინფორმაციო სერვისების შექმნას, იმ არსებული სტრუქტურების მეშვეობით, როგორიცაა სკოლები, ახალგაზრდული სერვისები და ბიბლიოთეკები. განსაკუთრებული ზომები უნდა იქნას მიღებული ახალგაზრდების ყველა ჯგუფის ინფორმირების საჭიროების დასაკმაყოფილებლად, მათ შორის, იმ ახალგაზრდების ვისაც უჭირთ ინფორმაციის მოპოვება ენობრივი ბარიერების გამო ან არ აქვთ ინტერნეტზე წვდომა.

58. წევრმა ქვეყნებმა, ასევე, უნდა შექმნან უფრო ეფექტური სისტემები ახალგაზრდების უფლებებზე ხელმისაწვდომობის დასაცავად. უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა, რომელსაც ემყარება მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია, მოითხოვს იმ მექანიზმების შექმნას, რომელსაც ახალგაზრდები გამოიყენებენ თავიანთი უფლებების დარღვევის შემთხვევაში გამოსწორებისა და კომპენსაციის ძიებისას. ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ ამ მექანიზმების შესახებ და ჰქონდეთ უფასო წვდომა, საჭიროებისამებრ, დამოუკიდებელი მხარდაჭერით. რეკომენდაცია გვთავაზობს ადამიანის უფლებათა დამოუკიდებელი ინსტიტუტების შექმნას პარიზის პრინციპების[35] შესაბამისად, ეს იქნება მნიშვნელოვანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდების უფლებებზე ხელმისაწვდომობის დაცვას.

ზ. ჯანმრთელობისა და სოციალური ზრუნვის სერვისების ხელმისაწვდომობა

59. ჯანმრთელობისა და სოციალური ზრუნვის სერვისებზე წვდომა, კერძოდ (დროული) მენტალური ჯანმრთელობის მომსახურებების ხელმისაწვდომობა, პროგრესულად პრობლემური და არათანაბარია, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების ახალგაზრდებისთვის. რთული ეკონომიკური ფონიდა მოსახლეობის ჯანმრთელობასა და მზრუნველობაზე გარზდილი მოთხოვნა კიდევ უფრო ამცირებს ინვესტიციების რაოდენობას ახალგაზრდებზე გათვლილ ფსიქიკური ჯანმრთელობის და სოციალურ მომსახურებებში. ამ უფლების ხელმისაწვდომობა შეიძლება იყოს დამოკიდებული იმაზე, ახალგაზრდა მუშაობს თუ მშობლებთან ცხოვრობსან კონფიდენციალურობის დონეზე, რომელსაც სერვისი იძლევა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. აკმაყოფილებენ თუ არა დადგენილი მოთხოვნების კრიტერიუმებს, ხშირად, გაუგებარია მათთვის, თუ ვინ შეიძლება ამ სერვისებით ისარგებლოს. სირთულეები, რომელსაც ახალგაზრდები აწყდებიან ჯანდაცვასა და სოციალურ სერვისებთან დაკავშირებით ნიშნავს, რომ უფროდაუფრო მეტ ახალგაზრდას ემუქრება არასტაბილური ცხოვრება.

60. ახალგაზრდების ინფორმირება და განათლება ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ჯანმრთელობის საფრთხეების შესახებ, ისევე როგორც ამ საფრთხეების თავიდან აცილება სასკოლო კურიკულუმითა და სხვა მეთოდებით, არის

[35] მიღებული 1993 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ www.ohchr.org.

მთავარი პრევენციული ზომა, ისევე, როგორც ახალგაზრდებთან მომუშავე ჯანდაცვის მუშაკების გადამზადება. რეკომენდაციაში შემოთავაზებული რიგი ღონისძიებებისა ეხება ახალგაზრდების ინფორმირებულობას ქვეყანაში არსებული პირველადი ჯანდაცვის სერვისებსა და მათზე ხელმისაწვდომობის შესახებ.

VII დასკვნები

61. როგორი მნიშვნელოვანიც არის ეს სამართლებრივი ინსტრუმენტი, ისეთივე მნიშვნელოვანია მისი შედეგები. კონკრეტული შემდგომი ნაბიჯების, ძლიერი კომუნიკაციისა და მყარი ხელშეწყობის გარეშე, მინისტრთა კომიტეტის ამ რეკომენდაციამ შეიძლება არ მიაღწიოს განსაზღვრულ აუდიტორიამდე. წევრმა ქვეყნებმა უნდა შეიმუშაონ მექანიზმი რომელიც შეძლებს ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას და ხელს შეუწყობს რეკომენდაციების ზომების პროგრესულ განხორციელებას დიალოგის, სწავლის, პრაქტიკის გაცვლისა და სხვა თანამშრომლობის გზით. სემინარი, სამი წლის შემდეგ მიღწეული პროგრესის მიმოხილვისათვის, საშუალებას მისცემს ახალგაზრდობის ევროპულ საორგანიზაციო კომიტეტს და ახალგაზრდობის საკითხთა მრჩეველთა საბჭოს შეაფასონ პროგრესი და საჭიროებისამებრ, შემდგომი მხარდაჭერა და მითითებები მისცენ წევრ ქვეყნებს.

Sales agents for publications of the Council of Europe
Agents de vente des publications du Conseil de l'Europe

BELGIUM/BELGIQUE
La Librairie Européenne -
The European Bookshop
Rue de l'Orme, 1
BE-1040 BRUXELLES
Tel.: + 32 (0)2 231 04 35
Fax: + 32 (0)2 735 08 60
E-mail: info@libeurop.eu
http://www.libeurop.be

Jean De Lannoy/DL Services
c/o Michot Warehouses
Bergense steenweg 77
Chaussée de Mons
BE-1600 SINT PIETERS LEEUW
Fax: + 32 (0)2 706 52 27
E-mail: jean.de.lannoy@dl-servi.com
http://www.jean-de-lannoy.be

CANADA
Renouf Publishing Co. Ltd.
22-1010 Polytek Street
CDN-OTTAWA, ONT K1J 9J1
Tel.: + 1 613 745 2665
Fax: + 1 613 745 7660
Toll-Free Tel.: (866) 767-6766
E-mail: order.dept@renoufbooks.com
http://www.renoufbooks.com

CROATIA/CROATIE
Robert's Plus d.o.o.
Marasoviçeva 67
HR-21000 SPLIT
Tel.: + 385 21 315 800, 801, 802, 803
Fax: + 385 21 315 804
E-mail: robertsplus@robertsplus.hr

CZECH REPUBLIC/RÉPUBLIQUE TCHÈQUE
Suweco CZ, s.r.o.
Klecakova 347
CZ-180 21 PRAHA 9
Tel.: + 420 2 424 59 204
Fax: + 420 2 848 21 646
E-mail: import@suweco.cz
http://www.suweco.cz

DENMARK/DANEMARK
GAD
Vimmelskaftet 32
DK-1161 KØBENHAVN K
Tel.: + 45 77 66 60 00
Fax: + 45 77 66 60 01
E-mail: reception@gad.dk
http://www.gad.dk

FINLAND/FINLANDE
Akateeminen Kirjakauppa
PO Box 128
Keskuskatu 1
FI-00100 HELSINKI
Tel.: + 358 (0)9 121 4430
Fax: + 358 (0)9 121 4242
E-mail: akatilaus@akateeminen.com
http://www.akateeminen.com

FRANCE
Please contact directly /
Merci de contacter directement
Council of Europe Publishing
Éditions du Conseil de l'Europe
F-67075 STRASBOURG Cedex
Tel.: + 33 (0)3 88 41 25 81
Fax: + 33 (0)3 88 41 39 10
E-mail: publishing@coe.int
http://book.coe.int

Librairie Kléber
1, rue des Francs-Bourgeois
F-67000 STRASBOURG
Tel.: + 33 (0)3 88 15 78 88
Fax: + 33 (0)3 88 15 78 80
E-mail: librairie-kleber@coe.int
http://www.librairie-kleber.com

NORWAY/NORVÈGE
Akademika
Postboks 84 Blindern
NO-0314 OSLO
Tel.: + 47 2 218 8100
Fax: + 47 2 218 8103
E-mail: support@akademika.no
http://www.akademika.no

POLAND/POLOGNE
Ars Polona JSC
25 Obroncow Street
PL-03-933 WARSZAWA
Tel.: + 48 (0)22 509 86 00
Fax: + 48 (0)22 509 86 10
E-mail: arspolona@arspolona.com.pl
http://www.arspolona.com.pl

PORTUGAL
Marka Lda
Rua dos Correeiros 61-3
PT-1100-162 LISBOA
Tel: 351 21 3224040
Fax: 351 21 3224044
E-mail: apoio.clientes@marka.pt
www.marka.pt

RUSSIAN FEDERATION/
FÉDÉRATION DE RUSSIE
Ves Mir
17b, Butlerova.ul. - Office 338
RU-117342 MOSCOW
Tel.: + 7 495 739 0971
Fax: + 7 495 739 0971
E-mail: orders@vesmirbooks.ru
http://www.vesmirbooks.ru

SWITZERLAND/SUISSE
Planetis Sàrl
16, chemin des Pins
CH-1273 ARZIER
Tel.: + 41 22 366 51 77
Fax: + 41 22 366 51 78
E-mail: info@planetis.ch

TAIWAN
Tycoon Information Inc.
5th Floor, No. 500, Chang-Chun Road
Taipei, Taiwan
Tel.: 886-2-8712 8886
Fax: 886-2-8712 4747, 8712 4777
E-mail: info@tycoon-info.com.tw
orders@tycoon-info.com.tw

UNITED KINGDOM/ROYAUME-UNI
The Stationery Office Ltd
PO Box 29
GB-NORWICH NR3 1GN
Tel.: + 44 (0)870 600 5522
Fax: + 44 (0)870 600 5533
E-mail: book.enquiries@tso.co.uk
http://www.tsoshop.co.uk

UNITED STATES and CANADA/
ÉTATS-UNIS et CANADA
Manhattan Publishing Co
670 White Plains Road
USA-10583 SCARSDALE, NY
Tel: + 1 914 472 4650
Fax: + 1 914 472 4316
E-mail: coe@manhattanpublishing.com
http://www.manhattanpublishing.com

Council of Europe Publishing/Éditions du Conseil de l'Europe
F-67075 STRASBOURG Cedex
Tel.: + 33 (0)3 88 41 25 81 – Fax: + 33 (0)3 88 41 39 10 – E-mail: publishing@coe.int – Website: http://book.coe.int